ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თეიმურაზ სართანია

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები ევროინტეგრაციის ფონზე

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი
2023

შესავალი ----------7

თავი I. საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების ძირითადი ფაქტორები

1.1 ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები ----------10

1.2 საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების პოტენციალი ----------15

1.3 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო ----------21

თავი II. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პრიორიტეტები

2.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე ----------31

2.2. საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო თანამშრომლობის განხორციელების გზები ----------41

2.3 საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები ----------51

2.4 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი ----------59

თავი III. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება

3.1 ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზების დაჩქარების აუცილებლობა ----------102

3.2 სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები----------106

დასკვნა და რეკომენდაციები ----------113

გამოყენებული ლიტერატურა ----------130

გამოყენებული აბრევიატურები

DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

AmCham - ამერიკის სავაჭრო პალატა

ENP - ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

EEAS - ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახური

ENP AP - ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

PCA - პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება

SPS - სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული რეფორმები

TBT - ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები

მსპ - მთლიანი სამამულო პროდუქტი

პუი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში თანამედროვე ეტაპზე საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განზოგადების საფუძველზე გამოკვეთილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები ძირითადი საექსპორტო და იმპორტული პროდუქციის მიხედვით. ამასთან, გამოკვლეულია საქართველოს ექსპორტ-იმპორტის როგორც წლიური, ისე კვარტალური სტრუქტურა და დინამიკა, მოცემულია ეკონომიკის საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი, რომელიც აღნიშნულ პრობლემატიკაზე განხორციელებულ კვლევებს ეყრდნობა.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული და გამოვლენილია ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე განსაზღვრულია ქვეყნის საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების პოტენციალი. შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სრულყოფისთვის.

თანამედროვე ეპოქაში ფინანსური გლობალიზაციის პროცესი დღის წესრიგში აყენებს ქვეყნებში კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების აუცილებლობას. საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის ტრანსფორმაციული ქვეყანა, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული რეგიონში არსებულ ეკონომიკურ გარემოზე, ქვეყნაში სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე, კაპიტალის ნაკადების შემოდინებასა და გადინებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. გამოავლენილია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასაბანდებლად პრიორიტეტული სფეროები და დარგები, გამოკვეთილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე დადებითად და უარყოფითად მოქმედი ფაქტორები. შეიმუშავებულია რეკომენდაციები ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების მიმართულებით.

საკვანძო ***სიტყვები:*** *საგარეო ვაჭრობა, სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა, ევროკავშირში ინტეგრაცია, კონკურენტუნარიანობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციების*

შემოდინება, საინვესტიციო კანონმდებლობა, საინვესტიციო პოტენციალი, ინოვაციური ეკონომიკა.

Abstract

International integration is an important factor for economic development in the modern world. It represents the process of uniting national economies and creating close ties between countries in various areas such as trade, investment, finance, and technology.

Georgia's pursuit of integration into the European Union not only signifies a primary goal, reflecting the collective will of its people, but also represents a path toward cultivating political stability, achieving sustainable economic growth, and enhancing regional cooperation in alignment with international standards. This initiative represents the innovative governance strategies in post-communist countries like Georgia, where the progress of development relies on a government that is responsive to the desires of its citizens.

At the current stage of the Deep and Comprehensive Free Trade Area, considering the reforms carried out by the Georgia Government towards the Association Agreement and European integration, emphasis is placed on the development of Georgia-European Union trade and their economic relations. Therefore, the research and determination of weaknesses and strengths in terms of trade interaction between international policy actors is predefined. The research aims to analyse the integration opportunities between Georgia and the European Union, particularly in terms of trade relations. The main methods used in the research were analysis, abstraction, forecasting and historical method. The importance of sharing European values and economic reforms to achieve sustainable economic development was emphasised. In addition, trade relations between the subjects were analysed, highlighting the fluctuations caused by global crises. The main export products and trade partners of Georgia among the European Union countries were also examined, and the importance of diversifying the product range and achieving faster growth was emphasised to reduce the risks of economic fluctuations. This study contributes new knowledge in the context of the study of modern integration processes, as well as provides a different perspective on the processes of international economic interaction between Georgia and the EU.

Keywords: EU, trade relations; integration; international relations; finance; regional groupings, FDI, trade policy, innovative economics, investment environment, import, export.

შესავალი

თემის აქტუალურობა. თანამედროვე ეტაპზე DCFTA-ს, ასოცირების შეთანხმების და ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების, ასევე, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების

გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრას.

საქართველო-ევროკავშირს შორის შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული შედეგები, ასევე DCFTA-ის, როგორც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობა ევროკავშირთან ვაჭრობაში, როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერების მოხსნის, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზების, ასევე, საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მიმართულებით ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უაღრესად აქტუალურია საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების გამოვლენა. ასევე, საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების პოტენციალის განსაზღვრა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

თანამედროვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. არასაკმარისი საინვესტიციო სახსრები ზღუდავს უცხოური საინვესტიციო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინვესტიციების მოზიდვასას მხედველობაში უნდა მივიღოთ საზღვარგარეთელ ინვესტორთა მოთხოვნებიც. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასდეს ქვეყნის საინვესტიციო რესურსების პოტენციალი. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია, პოლიტიკური და იდეოლოგიური გარემო, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა. სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ახდენს ინვესტორი ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. რაც, მოსალოდნელი რისკების წინასწარ შეფასების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების მასტიმულირებელი ფაქტორების გამოვლენის, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლისა და გამოკვლევის

საფუძველზე განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების პოტენციალი.

კვლევის ამოცანაა: თანამედროვე ეტაპზე საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოების ღონისძიებების დასახვა. ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის უზრუნველსაყოფად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება ევროინტეგრაციის პროცესში საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დაჩქარებისა და სრულყოფის მიმართულებით.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების, ასევე, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით. კვლევები განხორციელდა სხვადასხვა ეროვნული და უცხოური რესურსებიდან მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კვლევის განხორციელებისას გამოყენებულ იქნა შედარების, დაჯგუფების, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის და ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეა საკვლევი პრობლემის (ევოლუციურ პროცესში) კომპლექსური გამოკვლევის მცდელობა. კერძოდ, კვლევის შედეგად დადგენილია: საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების ძირითადი ფაქტორები; საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები; საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მახასიათებლები; ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები და ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზების თანამედროვე გამოწვევები.

კვლევის სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული შედეგები. კვლევის შედეგად საქართველო-ევროკავშირის ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე, გამოიკვეთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტეტები და შემუშავდა მათი სრულყოფის მექანიზმები. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ გამოცემაში, ასევე მოხსენება გაკეთდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბების, ასევე ევროკავშირთან თანამშრომლობის არსებული ფორმატის განვითარებისა და გაღრმავების, აგრეთვე, ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი დახმარებას გაუწევს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებსა და სპეციალისტებს.

თავი I. საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავების ძირითადი ფაქტორები

1.1 ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა და ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და

გაფართოების აუცილებლობას წარმოქმნის. აღნიშნული ძალზე აქტუალურს ხდის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გონივრულად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით ევროპული ფასეულობების გაზიარებასა და მასთან თავსებადი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას (Silagadze, 2015).

თავის მხრივ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ლიბერალური ეკონომიკური მოდელის შემუშავებას, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, ერთგვაროვან რეჟიმში ფუნქციონირებას და ევროპული ფასეულობების დამკვიდრებას მოითხოვს, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს (Papava & Tokmazishvili, 2006).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ათასწლეულის გამოწვევები ევროინტეგრაციის პრობლემატიკის კვლევის მიმართ მეცნიერებისა და მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს.

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანებს შორის ადგილის დამკვიდრება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური რეფორმების განხორციელებასა და იმგვარი ეროვნული მოდელის ფორმირებაზე, რომელიც განათლების სექტორში სოლიდური ინვესტირებით ძირეული რეფორმების განხორციელებაზე, განათლებული, მოტივირებული თაობების აღზრდაზე, მათთვის თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების შეთავაზებაზე, სიღარიბის დაძლევასა და ინოვაციური რეფორმების დაჩქარებაზე იქნება მიმართული (აბესაძე, 2016).

სწორედ განათლებული, მოტივირებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდობაა იმის გარანტი, რომ საქართველო მოკლე დროში შეძლებს განვითარებული, ინოვაციური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. შესაბამისად, განათლების სექტორში ძირეული რეფორმების გატარება და მასშტაბური ინვესტიციის განთავსება მთავარ პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მთელი ძალისხმევა მოქალაქეების თავისუფლებისა და ღირსების დაცვაზე, საკუთარ ქვეყანაში კეთილდღეობისა და თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების შექმნაზე უნდა იქნეს ორიენტირებული. ამიტომაც, ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ხელისუფლებამ ევროკავშირთან ეფექტიანი თანამშრომლობის მექანიზმები

სრულად უნდა აამოქმედოს, რის შედეგადაც, საქართველო საბოლოოდ დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის.

ქვეყნის მდგრადი განვითარება კონკრეტულ სფეროსა თუ დარგში ძირეული ინოვაციური რეფორმების გატარებას მოითხოვს, რომელიც დახვეწილ საკანონმდებლო ბაზას და სახელმწიფო ინსტიტუტებს დაეფუძნება (Voloshchuk, 2019).

ამასთან, მთავრობის მთავარ პრიორიტეტად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოიაზრება, რაც, ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას და იმგვარი ეკონომიკური მოდელის დანერგვას ითვალისწინებს, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, ეკონომიკური შესაძლებლობები თანაბრად ხელმისაწვდომი ხდება, ხოლო უმუშევრობა და სიღარიბე მცირდება (Asongu, 2016).

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად, მთავრობის უმთავრესი აქცენტი ქვეყანაში იმ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზეა ორიენტირებული, რომელიც თავისი ბუნებით მაღალტექნოლოგიურია. აღნიშნული, ეკონომიკის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და საბოლოოდ, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას განაპირობებს.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა იმ ინსტიტუტების განვითარებასა და ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკურ ფაქტორებში ვლინდება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონის ამაღლებას იწვევს (Yerrabati, 2022),

OECD-ის დეფინიციით - ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში მოიაზრება საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობის რეალური შემოსავალის სტაბილურ ზრდას უზრუნველყოფს (Mukherjee, 2015).

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებთან საქართველოს სრულფასოვანი ეკონომიკური ურთიერთობები, კეთილმეზობლური დამოკიდებულება და წევრის სტატუსი გადამწყვეტ როლს ასრულებს სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაში

(Silagadze, 2016). ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს სტრატეგიულ მიზანად სწორედ ევროკავშირში გაწევრიანება მოიაზრება, რაც, თავის მხრივ, ევროპულ ფასეულობებზე დაყრდნობით ქვეყანაში ცვლილებების განხორციელებისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, ევროკავშირს სხვა ქვეყნებისთვის ევროკავშირში დამკვიდრებული ფასეულობების გაზიარების და მასთან თავსებადი შიდასახელმწიფოებრივი სისტემების ფორმირების გლობალური მისია აკისრია (Stankovich et al., 2019).

ამდენად, ტრანსფორმაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მხრიდან ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ ინტერესის მუდმივ ზრდას, თავის მხრივ, ინტეგრაციის პროცესის და მისი პოტენციალის ამოუწურავი შესაძლებლობები განაპირობებს (Jolly, 2019)

საქართველოს სტრატეგიული მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირში გაწევრიანებაა, რაც თავის მხრივ, ევროპულ ფასეულობებზე დაყრდნობით, ქვეყანაში ცვლილებების განხორციელებისთვის მყარ საფუძველს ქმნის (Emerson & Kovziridze, 2016).

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ქვეყნის იმგვარ ტრანსფორმაციას მოითხოვს, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესში ეფექტიანი ეკონომიკური სისტემების და ინსტიტუტების განვითარებით საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის მდგრადი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევას, ასევე აღმშენებლობას და საერთაშორისო თანამეგობრობაში მისთვის კუთვნილი ღირსეული ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფს (პაპავა, 2015).

თავის მხრივ, ქვეყნების მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში აქტიურად გამოიყენება ფინანსური დახმარების მექანიზმები, რაც ევროკავშირის ქვეყნების ერთგვაროვან რეჟიმში ფუნქციონირებას უწყობს ხელს. ("National Languages in the EU: Between a Legally Protected Value and an Obstacle to the Functioning of the Single Market," 2018)

აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს, ასევე აზერბაიჯანს, ბელორუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთს და უკრაინას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ეკონომიკური განვითარების და რეგიონული ინტეგრაციის დაჩქარებას, ასევე აღნიშნული ქვეყნების

მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლებას ისახავს მიზნად (Putkaradze, 2019). PCA და ENP პროგრამებში მონაწილეობასთან ერთად, ევროკავშირის ახალ ინიციტივას „აღმოსავლეთის პარტნიორობას“ თვისობრივად ახალ განზომილებაში გადაჰყავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და უფრო მეტად აახლოებს მათ (Gawrich et al., 2010).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მონაწილეობა „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ ქვეყანას ჰარმონიზაციის უნიკალურ შესაძლებლობებს სთავაზობს. თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია ფულადი რესურსების მობილიზება, რაც არსებით გამოწვევად რჩება.

ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა. თუმცა, ევროკავშირის ეკონომიკაში თანმიმდევრული ინტეგრაციისათვის, ბარიერად რჩება კონკრეტული წინაპირობების დაკმაყოფილება, რაც, სავაჭრო ბარიერების შემსუბუქების და ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. ზემოაღნიშნული, ქვეყანას მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას მისცემს (Mahdi Ghodsi, 2016). აღნიშნული კი, საბოლოოდ, ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ფონზე, კეთილდღეობის დონის ამაღლების და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის გარანტად იქცევა.

ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში მოსახლეობის ჯგუფებს შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, ასევე სტრუქტურული პრობლემები ძირითადად ქვეყნის რეგიონებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან მომდინარეობს, (Christiansen, 2015) რომლის დასაძლევად როგორც ეროვნული ეკონომიკისთვის ადაპტირებული სტრატეგიის შემუშავება, ასევე უცხოეთის წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ერთობ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. აღნიშნული, განათლების დონის ამაღლების, სურსათის უვნებლობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის, უმუშევრობისა, სიღარიბის დაძლევის და სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მიღწევით არის შესაძლებელი (Silagadze, 2015).

ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები ისეთ ინსტრუმენტებს ქმნიან, რომლებიც ეკონომიკური სისტემების და ინსტიტუტების ეფექტიან

ფუნქციონირებას და განვითარებას, მოქნილი ფინანსური დახმარების ინსტრუმენტების გამოყენებას, ქვეყნის აღმშენებლობას და დასახული მიზნების რეალიზაციას, ასევე, საერთაშორისო სისტემაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას უწყობს ხელს (პაპავა & თაფლაძე, 2013).

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნები კლასიფიცირდება გაწევრიანების კანდიდატებად, გაწევრიანების პოტენციურ კანდიდატებად, ასევე პარტნიორებად გაწევრიანების „ბუნდოვანი" პერსპექტივის და გაწევრიანების პერსპექტივის არ მქონე პარტნიორებად. ამ მხრივ, ბოლო პერიოდში საქართველოსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის ევროკავშირის ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთობები მომავალში ჩვენი ქვეყნის კანდიდატობის პოტენციალს მნიშვნელოვნად ზრდის. ამდენად, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები ერთობ აქტუალურია (Zubiashvili, 2017).

1.2 საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საინვესტიციო და ინოვაციური განვითარების პოტენციალი

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პრიორიტეტული მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და საექსპორტო პოტენციალის გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილი გლობალური ეკონომიკის გამოწვევების შეფასებას და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ენიჭება. ასევე, მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა. ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის მოდელების განზოგადების საფუძველზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს საექსპორტო პროდუქტებისა და მათი გაყიდვის ინტენსიურობის, ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებისა და ბაზრებზე უკეთესი პირობების მოპოვებაში ახალი საექსპორტო პროდუქტების წარმოების,

საქონლისა და მომსახურეობის შეთავაზების მნიშვნელობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის საქმეში (Bakhtadze, Sartania, 2019).

ამასთან, განსაკუთრებული როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ქვეყნის რესურსების რაციონალურ გადანაწილებაში სახელმწიფოს ენიჭება ("Impact of Foreign Capital on Economic Growth in Developin Countries", 2018). აღნიშნული, ევროინტეგრაციის პროცესში საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და სრულყოფას ისახავს მიზნად.

გლობალიზაციის ეპოქაში, საერთაშორისო კონკურენტულ ბრძოლაში ჩართულ ქვეყნებს და კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევა თავიანთი უპირატესობების გამოვლენით, გაძლიერებით და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით ადგილი უმსხვილეს ბაზრებზე დაიმკვიდრონ (Veshapidze et al., 2021).

თავის მხრივ, DCFTA მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საექსპორტო დივერსიფიცირებას, როგორც გეოგრაფიულ ჭრილში, ისე სასაქონლო ნიშნით (Movchan & Shportyuk, 2016).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და იმ სარგებლის განსაზღვრა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) მთელი რიგი უპირატესობების გამოყენებით, არასატარიფო ბარიერების დაძლევით და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის დივერსიფიცირებით შეიძლება მიიღოს ქვეყანამ (Mark, 2019).

როგორც წესი, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე პროცესები განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის ზრდას (Uyar Okcu et al., 2020). აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც. ვინაიდან, ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე.

საქართველო-ევროკავშირს შორის შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული შედეგები, ასევე DCFTA-ს, როგორც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობა ევროკავშირთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნის, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციის, ასევე საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო და

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მიმართულებით ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტებია.

DCFTA მოიცავს ევროკავშირში ეკონომიკის ინტეგრაციის გზას, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის შიდა ბაზარს ხსნის როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციით, ასევე სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებით, საინვესტიციო აქტივობის ამაღლებითა და კაპიტალწარმომქმნელი ინვესტიციების ეფექტიანობის ზრდით. რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქართული ეკონომიკის გადასვლას ახალ ხარისხობრივ მდგომარეობაში (Adarov & Havlik, 2016).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უაღრესად აქტუალურია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, როგორც საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების გამოვლენა, ისე საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრა ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურისა და დინამიკის გაანალიზების საფუძველზე (სილაგაძე, 2016).

2009-2020 წლებში საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპი 3.9 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნულ პერიოდში, მსპ-ის ყველაზე დაბალი ტემპით (3.7 პროცენტით) მატება 2009 წელს გამოვლინდა, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი შემცირებით იყო გამოწვეული (საქსტატი, 2021).

2009-2018 წლებში მსპ-ის მატებამ ყველაზე მაღალ ნიშნულს (7.2 პროცენტი) 2011 წელს მიაღწია (საქსტატი, 2021). ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად ვაჭრობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, გადამამუშავებელი ინდუსტრიის, ფინანსური შუამავლების, სასტუმროების და რესტორნების წარმოების, ასევე ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ზრდით იყო გამოწვეული.

2019 წელს მსპ-ის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 5 პროცენტით გაიზარდა (საქსტატი). აღნიშნული ძირითადად შინამეურნეობათა მოხმარების და სახელმწიფო ხარჯების მატებით იყო გამოწვეული.

საანალიზო პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილების შიდა რესურსად შრომის პროდუქტიულობა გვევლინებოდა. აღნიშნული მაჩვენებელი ერთობ მაღალი იყო დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, უძრავი ქონების ოპერაციების და ტრანსპორტის სფეროებში.

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ახდენს. საქართველოში ფინანსური სისტემის მაღალი დოლარიზაციის ფონზე, მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გაცვლითი კურსის მერყეობა რჩება. თუმცა, აღნიშნული, ეკონომიკაზე, კერძოდ, ინფლაციაზე, სავაჭრო კონკურენტუნარიანობასა და გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს.

ასეთ პირობებში, გაცვლითი კურსის საშუალო და გრძელვადიანი დინამიკის შენარჩუნება ეკონომიკისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნული ბანკის პრიორიტეტს სწორედ ლარიზაციის ზრდა წარმოადგენს, რაც ქვეყანაში მაკროეკონომიკური და ფინანსური რისკების შემცირების, ასევე საგარეო მოწყვლადობის მიმართ მდგრადობის ზრდის წინაპირობად წარმოგვიდგება

როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და დასაქმების დონის ამაღლება, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა (Linn, 2016). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის შემცირება დიდადაა დამოკიდებული ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნაზე, მათი გაყიდვის ინტენსივობაზე, ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებასა და ექსპორტის პოტენციალის ამაღლებაზე. ზემოაღნიშნული სწორედ, ქვეყანაში არსებული რესურსების გონივრული განაწილებით, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ჩართვით, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებით მიიღწევა (პაპავა, 2018).

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალური ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, საკმაოდ აქტუალურია ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. ზემოაღნიშნული მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები შეუქცევადად ხდის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას

(საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო, 2020).

ამდენად, გლობალიზაციის პროცესი შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებსა და კომპანიებს, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან თავი დაიმკვიდრონ ბაზარზე გაძლიერებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით (Eteria, 2019).

DCFTA თავისთავად ხელს უწყობს ექსპორტის დივერსიფიცირებას გეოგრაფიული მასშტაბით და სასაქონლო ნიშნის მიხედვით. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და განვსაზღვროთ სარგებელი, რომელიც ქვეყანამ შეიძლება მიიღოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგად არსებული მრავალი ბენეფიტის გამოყენებით, გადალახოს სატარიფო ბარიერები და მოახდინოს ექსპორტის დივერსიფიცირება ევროკავშირის ბაზარზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოსა და ევროკავშირის ვაჭრობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, ძირითადი საექსპორტო წარმოების სტრუქტურისა და ანალიზის საფუძველზე, აუცილებელია დაუყოვნებლივ გამოვავლინოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას და საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგების საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრას (Bakhtadze & Sartania, 2019).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსა და ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესის შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა სავაჭრო ურთიერთობების პრიორიტეტები, ასევე, შემუშავებულ იქნა კონკრეტული მითითებები სავაჭრო, საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად (Gaganidze, 2016).

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესები კონკურენციის მატებას იწვევს. აღნიშნული საკითხი ერთობ აქტუალურია საქართველოსთვის, ვინაიდან ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ქვეყნის განვითარების დონეზე აისახება.

მოცემულ ეტაპზე, DCFTA-ის შეთანხმების მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას საქართველოსა და ევროკავშირთან სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრისას (სილაგაძე, 2013).

თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში ქართული კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობები უშუალოდ საექსპორტო პოტენციალის არსებული მდგომარეობის შეფასებას უკავშირდება. საექსპორტო პოტენციალის გაფართოების საკითხი განსაკუთრებით იმ ქართული კომპანიებისთვისაა პრიორიტეტული, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უცხოურ ბაზრებზე ოპერირებენ. ვინაიდან, როგორც წესი, საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია მათ საშუალებას აძლევს ინტეგრირდნენ გლობალური ღირებულების ჯაჭვში და მიაღწიონ ტექნიკურ მოდერნიზაციას, ბაზრის გაფართოებას, პროდუქტიულობის ამაღლებას და მოგების ზრდას (Gaganidze, 2018).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული საექსპორტო პროდუქცია მხოლოდ მცირე ნომენკლატურის საქონელზეა ორიენტირებული, რაც ზრდის ბოლოდროინდელი ეკონომიკური რყევების განმეორების რისკს (ხარაიშვილი & გეჩბაია, 2018).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანამ ე.წ. დაჩქარებული ზრდის მისაღწევად, სასაქონლო ნომენკლატურის დივერსიფიცირების გაღრმავებაზე უნდა იზრუნოს, რათა საერთაშორისო ეკონომიკურმა მერყეობებმა ეროვნულ ეკონომიკაზე ნაკლებად იქონიოს გავლენა (Dennis & Shepherd, 2011).

ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის საკითხები ერთობ აქტუალური იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აღნიშნულმა პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით იმ ტრანსფორმაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში იჩინა თავი, სადაც საგარეო ეკონომიკის პოლიტიკის რეალიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური თვითგამორკვევის პრობლემად იქცა (Gaganidze, 2016).

1.3 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო

საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების დაწყებას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება დაედო საფუძვლად, რასაც, ევროგაერთიანების მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება მოჰყვა, რაც, 1992 წლიდან დღემდე სულ უფრო მეტად ღრმავდება. თუმცა, აღნიშნულ ეტაპზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით შემოიფარგლებოდა (Harpaz, 2018).

1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის 10-წლიანი შეთანხმება გაფორმდა, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, შემდგომი ათწლიანი ვადით ავტომატურად გაგრძელების პირობით. აღნიშნული თანამშრომლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოებას და ჰარმონიზაციას ისახავდა მიზნად.

ამასთან, 1998 წლიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული თითოეული კანონი თუ ნორმატიული აქტი სრულად შეესაბამებოდა ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრული თანხვედრის მისაღწევად 2000 წელს

შეიქმნა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომლის მიერ შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას (ENP) 2004 წლიდან დაედო სათავე. იგი ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად (Tocci, 2008).

ამდენად, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება და თითოეული ქვეყნის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას ეყრდნობა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღმოსავლეთის პარტნიორობამ 2009 წლიდან გააფართოვა პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციისა და დემოკრატიული ტრასფორმაციის პროცესს უწყობს ხელს.

მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული პოლიტიკური ჩარჩო მოწოდებულია ქვეყნის ევროკავშირთან ფუნქციონალური ინტეგრაციის ყველა პირობა შექმნას, რაც არ გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა შინაარსით სრულად შეესაბამება ამ მიზანს (Kogan, 2012).

2006 წელს საქართველოში ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში დაიწყო ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელება, რომელიც 5-წლიანი პერიოდის მანძილზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის საშუალოვადიანი თანამშრომლობის პრიორიტეტების, კერძოდ: მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევას, სტრუქტურული რეფორმების გატარებას, პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებასა და გაღრმავებას, ენერგო და სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრირებას ისახავდა მიზნად (Nilsson & Silander, 2016).

აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში ეკონომიკური ზრდის მდგრადობასა და სიღარიბის შემცირებაზე, ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაზე, ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებაზე, ასევე ტრანსპორტისა ენერგეტიკის სფეროებში ნაყოფიერ თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული.

ძირითადი პროგრამულ დოკუმენტში მთავარი აქცენტი ღია ეკონომიკის ფორმირებასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე იყო გადატანილი. ამასთან, სამოქმედო გეგმის ფარგლებში ძირითადი ყურადღება საინვესტიციო და ეკონომიკური საქმიანობის ინსტიტუციური ჩარჩოს სრულყოფაზე იყო მიმართული, რაც ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების უმთავრეს ფაქტორებად უნდა ქცეულიყო (Delfino, 2016).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისუფლი შემოდინება უმეტესად ღია ეკონომიკის სიკეთეების სრულად გამოვლენის და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების წინაპირობად უნდა იქცეს (Elkomy et al., 2016).

როგორც ცნობილია, ევროკავშირის ინიციატივით, საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკაში 2009 წლიდან ჩაერთო. აღნიშნული საფუძვლად დაედო ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებას, რომელიც, ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასაც მოიცავს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება - DCFTA, 2014 წლის 27 ნოემბერს შედგა და იმავე წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა.

2016 წლის პირველ ივლისს შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი ძალაში სრულად შევიდა. აღნიშნული დოკუმენტი ყოვლისმომცველი საერთაშორისო ხელშეკრულების სახით წარმოგვიდგება, რომელიც ევროკავშირის სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერაა ხელმოწერილი, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს.

ჩვენს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განისაზღვრება და რეგულირდება. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად კი - ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები გვევლინება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ტექნიკური ხასიათის დეტალებს მოიცავს, თუმცა, მას

გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე დოკუმენტის ძალა გააჩნია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპულ იდენტობას აღიარებს.

ზემოაღნიშნულ შეთანხმებაში ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს ძირითადი საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური მისწრაფებებია გამოკვეთილი. ასევე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველო-ევროკავშირის ინსტიტუტების ერთმანეთთან მაქსიმალურ თანხვედრაში მოსაყვანად, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ევროპულ სახელმწიფოდ ფორმირების პროცესს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ევროპული ფასეულობების დამკვიდრება, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება საქართველოს ევროპელ პარტნიორებთან ვაჭრობის დივერსიფიცირების და ეკონომიკური რეგულაციების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, საბოლოოდ, მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს და ეკონომიკის მოდერნიზაციას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვის გზით.

2014 წლიდან ევროკავშირმა თითქმის სრულად გახსნა ბაზარი საქართველოდან იმპორტისთვის და გააუქმა საიმპორტო ტარიფები, რამაც ახალი შესაძლებლობები შესთავაზა ჩვენს ქვეყანას. აღნიშნული თავის მხრივ, ამცირებს რისკებს, ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენციის პრინციპებზე მორგების გათვალისწინებით.

ქართულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ევროპული ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შემოღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოდერნიზაციის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების გატარებამ მრეწველობის დარგში სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) აღმოფხვრის, სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) რეფორმების სფეროში ამბიციური პროგრამის შემუშავებას შეუწყო ხელი.

ზემოაღნიშნული სტრატეგიები გრძელვადიან მიზნებს ემსახურებოდა, რამაც საქართველში ევროპული მიდგომების დანერგვა დააჩქარა, რაც, თავის მხრივ, მოკლევადიან პერსპექტივაში დიდი ოდენობით დანახარჯების თავიდან არიდებას ისახავს მიზნად.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშნვაც, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გვევლინება იმ ინსტრუმენტად, რომელიც საქართველოს წინაშე არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევების დაუყოვნებლივ გადაჭრას უზრუნველყოფს. თუმცა, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოში პოლიტიკური-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც საქართველოს, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანას დაეხმარება შეუერთდეს ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებმაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს (Giucci & Movchan, 2017).

DCFTA მოიცავს მარეგულირებელ ნორმებს ტრანსპორტის ყველა ფორმასთან დაკავშირებით (სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და სხვ.). 2010 წელს, ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ ხელშეკრულებას. დღეს, ქვეყანაში, ევროპასთან დამაკავშირებელი ბევრი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია ოპერირებს, რაზეც, მნიშვნელოვანი გავლენა უვიზო რეჟიმის ამოქმედებამ იქონია.

აგრეთვე, საქართველოს ენერგოსექტორმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია - კონკურენტული მარეგულირებლის და სატარიფო სისტემის შექმნის საფუძველზე. აღნიშნული, სოლიდური ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ენერგორესურსების მისაწოდებლად წყაროების დივერსიფიცირებას ისახავდა მიზნად.

2017 წელს საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების წევრი გახდა, რაც, თავის მხრივ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, გარკვეული გამონაკლისების დაშვებით, ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკასთან თავსებადობას უზრუნველყოფს.

აღსანიშია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. თუმცა, პოსტსაბჭოთა

პერიოდის პირველი ოცი წლის განმავლობაში, აღნიშნულ სექტორში საგრძნობლად შემცირდა როგორც ეფექტიანობა, ისე პროდუქტიულობა.

2015-2020 წლების სტრატეგია სოფლის მეურნეობის დარგში ძირეული რეფორმების განხორციელებას ისახავდა მიზნად, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ტექნიკური დახმარების და საინვესტიციო პროექტების ფარგლებში სოლიდური თანხებით დაფინანსდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიწის კანონმდებლობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ცვლილებები არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს უცხოელებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესების ფონზე.

ამდენად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალური დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ფინანსური სისტემის და ბაზრის ეფექტიანი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ზემოაღნიშნული, საბოლოოდ, უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში გამართული ფინანსური სისტემის ფორმირებას (Gabrichidze, 2018).

საქართველოში არსებული ფინანსური სისტემის კომპონენტებიდან განვითარების მაღალი დონით საბანკო სექტორი გამოირჩევა. მაშინ, როდესაც სხვა საფინანსო სექტორები შედარებით ნაკლებად არის განვითარებული და ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ფინანსური ბაზრის, კაპიტალის ბაზრის და საფონდო ბირჟის შემდგომი განვითრებისა და სრულყოფის მიმართულებით.

საქართველოს სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ უკანასკნელმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ისეთ გამოწვევებს, როგორიც არის: კორუფციის დაძლევა, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ლიბერალიზაცია და ბიზნეს გარემოს ფორმირება, რაზეც, საერთაშორისო რეიტინგებიც მეტყველებს. აღნიშნული მიღწევები მყარ საფუძველს ქმნის მომავალში, როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების, ისე, ევროკავშირის სრული წევრის სტატუსის მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2004 წელს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიმართულებით განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია, რომლის საფუძველზე ქვეყნის პოზიციები

საერთაშორისო რეიტინგებში ბიზნესის კეთების სიმარტივისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით ხელშესახებ წარმატებას მიაღწია, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ თვალსაზრისით, მან საერთაშორისო დონეზე ჰპოვა აღიარება. ამდენად, კორუფციასთან ბრძოლის მხრივ, ქვეყანა არსებულ კურსს კვლავ აგრძელებს, რაც საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

როგორც წესი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. მასში ვაჭრობის როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერები და ორივე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები მოიაზრება (Bellhadj et al., 2021).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველომ 2006 წელს ცალმხრივად განახორციელა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნაში გამოიხატა.

ამავდროულად, საქართველოში განხორციელებული რეფორმების მიმდინარეობის ზედამხედველობას ევროკავშირი მუდმივად ახორციელებს, რომლის ფონზე, პრაქტიკულად, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ქვეყნის ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ფაქტორად იქცა. აღნიშნული პროცესის გონივრულად წარმართვაში უაღრესად დიდ როლს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩო, კერძოდ კი, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ასრულებს. აღმოსავლეთის პარტნიორობა, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ერთობლიობით, მომავალი წლების განმავლობაშიც ქვეყნის განვითარების მიმართულებების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად წარმოგვიდგება.

ჩვენი აზრით, სწორედ აღმოსავლეთის პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენებით შეძლებს ჩვენი ქვეყანა განვითარების გზების ისეთი მიმართულებებით სრულყოფას და მართებულად წარმართვას, როგორიცაა ადამიანის უფლებები და კანონის

უზენაესობა, სახელმწიფო მართვა და ეფექტიანი მმართველობა, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მიგრაციის მართვა და მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის „ევროპეიზაცია“, ეკონომიკის დარგების განვითარება, განათლების სფეროს შემდგომ ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან და სხვ.

ზემოაღნიშნული მიმართულებებით, ქვეყნის ეფექტიანმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სწრაფი დაახლოება ევროკავშირთან, ხოლო შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებამ ევროკავშირთან უნდა უზრუნველყოს ჩვენი ურთიერთობების ახალ თვისობრივ დონეზე აყვანა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის, უვიზო მიმოსვლის, მჭიდრო პოლიტიკური პარტნიორობის (ასოცირება) დამკვიდრება, ინვესტიციებისა და, შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს ინტენსიურად შემოდინება ევროპიდან. რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს, მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობას თითოეულ სფეროსა თუ დარგში, ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერსპექტივით.

აღმოსავლეთის პარტნიორობის თანამშრომლობის პროცესის რეალიზაცია ყველა მონაწილე სახელმწიფო უწყების კოორდინირებული მუშაობის ფონზე მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავებას მოითხოვს. ზემოაღნიშნული საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია არსებული ვითარების სიღრმისეული შესწავლა და გამოკვლევა, რათა პასუხი გაეცეს კითხვებს, თუ რა მიმართულებით არის შესაძლებელი კონკრეტული სფეროს ეფექტიანი განვითარება მოცემულ მომენტში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სამოქალქო საზოგადოების ჩართვას აღნიშნულ პროცესებში, რადგანაც ნებისმიერ მთავრობას, გარდა საპარლამენტო ზედამხედველობისა, სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგი ესაჭიროება. ამგვარი მონიტორინგის განსახორციებლად კი აუცილებელია, გამოვლენილ იქნეს ქვეყანაში არსებული ნაკლოვანებებიც და მიღწევებიც.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მთავარ ბარიერად არა მარტო ქვეყნის საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეგულაციები, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე და კანონის უზენაესობის აღსრულების ხარისხი მოიაზრება. სწორედ ამიტომაც, საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმის

მიზანი არა მარტო კანონმდებლობის პარმონიზაციაა, არამედ იგი ჰარმონიზებული კანონმდებლობის ეკონომიკის განვითარების ინსტრუმენტად გადაქცევას უნდა ისახავდეს მიზნად.

ამასთან, 1998 წელს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) საქართველოს გაწევრიანებამ, ასევე, ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კანადასთან, შვეიცარიასთან და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში პრეფერენციებით სარგებლობამ, ასევე დსთ-ს ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობაზე ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებამ საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირების პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა (Entrepreneurial Enviroenment in the Light of the Reforms Implemented in Georgia). საგულისხმოა ისიც, რომ ზემოაღნიშნულმა ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა ინვესტიციების მოზიდვისთვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპორტის გაფართოებისა და ზრდის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ექსპორტის დაზღვევის მექანიზმების აქტიური გამოყენება, რაც, ხელს შეუწყობს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნას და ბაზრების დივერსიფიცირებას. აღნიშნული, თავის მხრივ, მსხვილი იმპორტიორი კომპანიების მხრიდან საექსპორტო ბაზრებზე პროფესიული ცოდნის დაუფლების საფუძველზე უცხოელი პარტნიორების მუშაობის გამოცდილების გაზიარებას საჭიროებს. აღნიშნული თავის მხრივ, ახალი ბაზრების მოძიებას ან მათთვის, როგორც წესი ახალი საექსპორტო პროდუქციის შეთავაზებას შეუწყობს ხელს.

ევროკომისიის მიერ სამეზობლო პოლიტიკა, როგორც წესი, ხორციელდება მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით მომზადებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე (Chilosi, 2009). აღნიშნულ სამოქმედო გეგმებში ევროკომისია იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს განსაზღვრავს, რის საფუძველზეც კონკრეტული ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება ხორციელდება.

როგორც წესი, სამოქმედო გეგმა ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში სამეზობლო ინიციატივის საერთო პრინციპებს ეყრდნობა. თუმცა, მისი შინაარსი მოცემულ ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული დონის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება.

ამდენად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის პროცესის კონტროლს ევროკავშირის კომისია და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახური ყოველ წელიწადს ახორციელებს, რომლის

საფუძველზეც, ევროკავშირი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს აქვეყნებს. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ემყარება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას და თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეული ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად ფინანსური დახმარების გამოყოფას;
- ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას და ევროკავშირის ბაზარზე დაშვებას;
- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას;
- სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, ასევე მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდეგი ფორმატებით ხორციელდება:

- „აღმოსავლეთ პარტნიორობა";
- ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა;
- შავი ზღვის სინერგია.

2006 წლიდან 2014 წლამდე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან კოორდინაციით ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიურ გეგმას ლოგიკური ჩარჩოს ფორმატში ამზადებდა, რომელშიც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსახორციელებლად თითოეული ღონისძიება დეტალურად იყო გაწერილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველწლიურად მზადდებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორცილების ანგარიში (“From ENP Competencies to ENP Practice Standards”, 2018).

ზემოაღნიშნული დოკუმენტი საქართველოში ეკონომიკური ზრდის მდგრადობასა და სიღარიბის შემცირებაზე, ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაზე, ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებაზე, ასევე ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში ნაყოფიერ თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისუფლი შემოდინება უმეტესად ღია ეკონომიკის

სიკეთეების სრულად გამოვლენის და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების წინაპირობად უნდა იქცეს.

ძირითადი პროგრამულ დოკუმენტში მთავარი აქცენტი ღია ეკონომიკის ფორმირებასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე იყო გადატანილი. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ძირითადი ყურადღება საინვესტიციო და ეკონომიკური საქმიანობის ინსტიტუციური ჩარჩოს სრულყოფაზე იყო მიმართული, რაც ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა.

თავი II. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პრიორიტეტები

2.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილი 1-დან ირკვევა, 2008-2009 წლებში გლობალური ფინანსური კრიზისისა და საქართველო-რუსეთის ომით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ფონზე საქართველო-ევროკავშირის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი (შესაბამისად, 29.1 და 24.3 პროცენტით) შემცირება გამოიკვეთა, რამაც სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 328 მლნ აშშ დოლარით შეამცირა.

ცხრილი1: საგარეო ვაჭრობაევროკავშირის ქვეყნებთან (მლნ აშშ დოლარი)

	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსი
2008	2091.6	335.2	1756.4	-1421.2
2009	1567.8	237.7	1330.1	-1092.4
2010	1775.8	309.2	1466.6	-1157.4
2011	2445.3	424.5	2050.8	-1626.3
2012	2781.7	353.0	2428.7	-2075.7
2013	2873.3	607.2	2266.1	-1658.9
2014	2996.2	624.2	2372.0	-1747.8
2015	2726.1	645.2	2080.9	-1435.7
2016	2780.3	565.5	2214.8	-1649.3
2017	2855.4	655.1	2200.3	-1545.2

2018	3363.2	730.3	2632.9	-1902.6
2019	3226.4	819.2	2407.2	-1588
2020	2643.4	717.0	1 926. 4	-1209.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010-2018 წლებში სავაჭრო ბრუნვა მეტწილად აღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა, რაც როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მატებით იყო გამოწვეული. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის ზრდის საშუალო ტემპი 4.1-ჯერ სჭარბობდა ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის ანალოგიურ მაჩვენებელს. სავაჭრო ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი, 6 პროცენტით განისაზღვრა.

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, 2019 წელს, გასულ წელთან შედარებით, საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 4.1 პროცენტით შემცირდა, რაც ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებთან იმპორტის 8.6-პროცენტიანი შემცირებით იყო განპირობებული.

ამასთან, კორონავირუსის ფონზე, 2020 წელს იმპორტის წლიური მაჩვენებელი 20-პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა. აღნიშნულის მიუხედავად, სავაჭრო ბალანსი 378.6 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა, სავაჭრო ბრუნვა კი - 583 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანობაში, ევროკავშირის ქვეყნებში 2008-2018 წლებში საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში 5 ძირითადი სასაქონლო ჯგუფი გამოიკვეთა, რომლებშიც ყველაზე მაღალი წილით სპილენძის მადნები და კონცენტრანტები გამოირჩეოდა. საანალიზო პერიოდში გამოვლენილი მეტნაკლებად დაღმავალი ტემპის მიუხედავად, რიგით მეორე ადგილს მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები იკავებდა. მესამე, მეოთხე და მეხუთე პოზიციას კი - შესაბამისად, ახალი ან გამხმარი თხილი და კაკალი, ფეროშენადნობები, ნავთობი და ნავთობპროდეუქტები ინაწილებდნენ.

2019-2020 წლებში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქციის ძირითადი პროდუქცია შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: სპილენძის მადნები, თხილი და კაკალი, მინერალური სასუქები, მსუბუქი ავტომობილები. წინა წლებისგან განსხვავებით, 2019-2020 წლებში საექსპორტო ლიდერ ხუთეულში არ შედიოდა ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები.



გრაფიკი 2: ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციის ლიდერი ხუთეულის და ექსპორტის დინამიკა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით, 2008-2020 წ.წ. (მლნ აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც გრაფიკი 2-დან ჩანს, 2008-2020 წლებში, ევროკავშირის საექსპორტო პროდუქციის 5 ძირითადი ქვეყანა ბულგარეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი და რუმინეთი იყო.

2019 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციის ლიდერი ქვეყნების ხუთეული ბულგარეთის, რუმინეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის სახით იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ქვეყნების წილმა მთლიან ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნებს შორის, 92.9 პროცენტი შეადგინა (საქსტატი, 2021).

2020 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადი ექპორტიორების როლში ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია და რუმინეთი მოგვევლინა. აღსანიშნავია ისიც რომ, წინა წელთან შედარებით, ბულგარეთი და გერმანია კვლავ პირველ და მესამე ადგილს იკავებდა, ესპანეთმა მეოთხედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ლიეტუვა კი მეხუთედან მეოთხე ადგილზე დაწინაურდა.

ნიშანდობლივია, რომ წინა წლისგან განსხვავებით, რუმინეთი იტალიამ ჩაანაცვლა. ამასთან, 2020 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადი ექპორტიორების წილი 75.5 პროცენტით განისაზღვრა (საქსტატი, 2021).

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის ტემპი 11.8 პროცენტით შემცირდა, რაც გლობალური პანდემიით იყო გამოწვეული.

გრაფიკი 3: ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის ლიდერი ხუთეული და იმპორტის დინამიკა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით, 2008-2020 წწ. (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში რამდენადმე შეიცვალა ლიდერი ხუთეულის საექსპორტო სტრუქტურა. კერძოდ, სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტი 27.9 პროცენტით, მინერალური სასუქების ექსპორტი კი - 25 პროცენტით შემცირდა. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი შთამბეჭდავად - 75 პროცენტით გაიზარდა. ასევე, მკვეთრი ზრდა (61.4 პროცენტი) გამოიკვეთა თხილისა და სხვა კაკლის პროდუქციის ექსპორტის შემთხვევაში (საქსტატი, 2021).

როგორც გრაფიკი 3-დან ირკვევა, ევროკავშირის ქვეყნიდან იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფში მაღალი წილით იყო წარმოდგენილი ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, სატვირთო ავტომობილები, გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები. აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული ხუთი ძირითადი სასაქონლო ჯგუფის დინამიკა გარკვეული ცვლილებებით ხასიათდებოდა.

გრაფიკი 4: ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის დინამიკა ლიდერი ხუთეული ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით, 2008-2020 წწ. (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2008-2018 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან ძირითადი პარტნიორი იმპორტიორი ქვეყნების სახით რუმინეთი, გერმანია, ბულგარეთი, საბერძნეთი და ნიდერლანდები იყვნენ წარმოდგენილი.

2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საიმპორტო პროდუქციის ლიდერთა ხუთეულში რუმინეთი, გერმანია, ბულგარეთი, ნიდერლანდები და საბერძნეთი შედიოდა. აღნიშნული ქვეყნების წილი, შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნების მთლიან საიმპორტო პროდუქციაიში 72.5-პროცენტიანი წილით განისაზღვრა.

2020 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საიმპორტო პროდუქციის ლიდერ ხუთეულში გერმანია, რუმინეთი, ბულგარეთი, ნიდერლანდები და საბერძნეთი წარმოგვიდგა. დასახელებული ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში შესაბამისად, 67.4 პროცენტს შეადგენდა (საქსტატი).

აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს გარკვეული ცვლილებები შეინიშნებოდა იმპორტიორი ქვეყნების ლიდერ ხუთეულში. მაგალითად, 2020 წელს, უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყანად გერმანია მოგვევლინა, მაშინ, როდესაც 2019 წელს ამ ადგილს რუმინეთი იკავებდა. მეორე პოზიციაზე - 18.2-პროცენტიანი წილით, რუმინეთი აღმოჩნდა, რომელსაც შესაბამისი პროცენტული წილით შემდეგი ქვეყნები: ბულგარეთი (12.2 პროცენტით), ნიდერლანდები (6.8 პროცენტით), საბერძნეთი (5.3 პროცენტით) მოსდევდა (საქსტატი, 2021).

2020-2021 წლებში კორონავირუსის გავრცელებამ თანამედროვე მსოფლიო უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა, რამაც განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროზე ჰპოვა ასახვა, რომლის ფონზე 2020 წელს საქართველოსა და ევროკავშიროს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 583 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აღნიშნული, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მაჩვენებლების (შესაბამისად, 102.2 მლნ და 480.8 მლნ დოლარით) კლებით იყო განპირობებული (საქსტატი, 2021).



გრაფიკი 5: ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის პროდუქციის ლიდერი ხუთეულის დინამიკა 2008-2020 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამრიგად, საანალიზო პერიოდში, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვამ ძირითადი პროდუქციის ხუთეულის მიხედვით, მაქსიმალურ მნიშვნელობას 3 166 მლნ დოლარს 2018 წელს მიაღწია.

2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის წლიური მაჩვენებელი 2.3 პროცენტით შემცირდა და 3093 მლნ დოლარი შეადგინა. 2020 წელს კი, დასახელებული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, ერთობ შთამბეჭდავი ვარდნით გამოირჩეოდა და 17.7 პროცენტით განისაზღვრა, რაზეც, მნიშვნელოვანი გავლენა მსოფლიოში გავრცელებული კოვიდ-19 პანდემიის შედეგებმა იქონია.



გრაფიკი 6: ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის პროდუქციის ლიდერი ხუთეული ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით და დინამიკა 2008-2020 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანად ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ლიდერი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბულგარეთი, რუმინეთი, გერმანია, საბერძნეთი და იტალია.

ხაზგასასმელია, რომ 2019 წელს ევროკავშირის ქვენებთან სავაჭრო ბრუნვის პროდუქციის ლიდერი ხუთეულის წილი 78.2 პროცენტით განისაზღვრა. უშუალოდ თითოეული მათგანის წილი კი, შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: რუმინეთი - 30.2 პროცენტით, ბულგარეთი - 28.3 პროცენტით, გერმანია - 13.8 პროცენტით, საბერძნეთი - 4.1 პროცენტით და იტალია - 2 პროცენტით.

2020 წელს, 2019 წლის მსგავსად, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო პროდუქციის ლიდერ-ხუთეულში ბულგარეთი 37.9 პროცენტითლიდერობდა. 2019 წლისგან განსხვავებით, მეორე პოზიციაზე რუმინეთი გერმანიამ ჩაანაცვლა, რომელზეც 15.2 პროცენტი მოდიოდა. შესაბამისად, მესამე ადგილზე 11.8 პროცენტით რუმინეთი გვევლინებოდა, მეოთხეზე 3.4 პროცენტით საბერძნეთი და მეხუთე ადგილზე იტალია, რომლის წილიც 2.9 პროცენტით განისაზღვრა (საქატატი, 2021).

გრაფიკი 7: ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის კვარტალური დინამიკა 2009-2020 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში 2020 წელი ინფლაციის მაღალი მაჩვენებელით ხასიათდებოდა. აღნიშნული ძირითადად პანდემიის ფონზე, ლარის ეფექტური კურსის ვარდნით და ინფლაციის ზრდით იყო განპირობებული. ინფლაციაზე უარყოფით გავლენას ლარის გაუფასურების ფონზე, მოთხოვნა-მიწოდების მხრივ წარმოქმნილი შემაფერხებელი ფაქტორებიც ახდენდა.

აღნიშნულ პერიოდში, სამომხმარებლო ფასების კლება ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით იყო განპირობებული, რამაც, პანდემიის პირობებში მიწოდების პროცესის გართულების გამო წარმოების გაზრდილი ხარჯებისა და ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტები გააბათილა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში დოლარიზაციის მაჩვენებელი მაღალია და ფინანსური ბაზრები სუსტად არის განვითარებული, ფულის

მიწოდების ცვლილებები ფასების დონეზე ძირითადად გაცვლითი კურსის საშუალებით აისახება.

2009-2018 წლებში, ეკონომიკური ზრდის ფონზე, სამუშაო ადგილები გაიზარდა. შესაბამისად, როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით, შრომის ბაზრის განვითარებამ ადამიანური კაპიტალის შრომითი პოტენციალის გააქტიურება განაპირობა.

ამავე დროს, ზემოაღნიშნული დასაქმებულთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ინსტრუმენტად უნდა იქცეს, რომელიც საბანკო კრედიტს ხელმისაწვდომს ხდის და ამასთან, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და აჯანსაღებს პროფესიული განათლების სისტემას, რომლის საფუძველზე პროდუქტიულობა იზრდება, რაც თავის მხრივ, შრომის ბაზრის ოპტიმალურ განვითარებას უზრუნველყოფს.

საექსპორტო პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის ნაწილია, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მატებით, იმ სარგებელის მიღებას უზრუნველყოფს, რომელიც ეროვნულმა ეკონომიკამ შეუძლია შექმნას.

ამასთან, საექსპორტო პოტენციალი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების, მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზით, საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარანტიაა.

თავი 2.2 საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო თანამშრომლობის განხორციელების გზები

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება დიდად არის დამოკიდებული მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც მთლიანობაში საინვესტიციო კლიმატს ქმნის და შესაბამისად, ასტიმულირებს ან პირიქით, ზღუდავს საინვესტიციო აქტივობას (Pfaffermayr & Egger, 2001)

საინვესტიციო გარემოში ქვეყანაში ინვესტიციებისთვის რეალურად შექმნილი ხელშემწყობი პირობები მოიაზრება, რომელიც გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებისათვის აღმავალი ტემპებით მატებას ან პირიქით, კაპიტალის უცხოეთში გადინებას განაპირობებს.

ამდენად, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება დადებითად, ან პირიქით, უარყოფითად აისახოს ქვეყნის განვითარებაზე, რომელსაც კონკრეტული საინვესტიციო აქტივობის განხორციელებამდე თითოეული ინვესტორი ითვალისწინებს (Apostolopoulos et al, 2020).

ოპტიმალური საინვესტიციო გარემოს ფორმირება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სისტემის სახით წარმოგვიდგება, რომელიც როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე ყალიბდება და შესაბამისად, ინვესტორთა საინვესტიციო აქტივობებისა და მოტივაციების განხორციელებას უწყობს ხელს.

ქვეყნის ხელისუფლების საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად სამამულო და განსაკუთრებით, უცხოელი ინვესტორებისთვის სტაბილური, მიმზიდველი გარემოს შექმნა მოიაზრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაში გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალურ-კულტურული პირობების მთელი კომპლექსი წარმოგვიდგება, რომლებიც ინვესტორს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების თანმხლები რისკებისგან იცავს და ასევე კომფორტულ გარემოს ქმნის კაპიტალის დაცულობის, პირადი უსაფრთხოების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მეწარმეების მხარდაჭერის თვალსაზრისით (Rathee & Aggawral, 2022).

ამასთან, გამართული საბაზრო ინფრასტრუქტურა, მოგების საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრები,

მნიშვნელოვად განსაზღვრავს კაპიტალის ოპტიმალური დაბანდების შესახებ გადაწყვეტილებას (Halilbegovic et al., 2018).

ზემოჩამოთვლილ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, როგორც წესი, ობიექტური ფაქტორებიც ახდენს ზემოქმედებას. კერძოდ, როგორიცაა, რეციპიენტი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ნედლეულის ბაზა და გასაღების ბაზრების სიახლოვე, ასევე სხვადასხვა სპეციფიკური თავისებურებები (Krapels, 2002).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში კაპიტალის დაბანდების შესახებ უცხოელი ინვესტორების გადაწყვეტილებებზე სწორედ ობიექტური ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. შესაბამისად, როგორც წესი, საინვესტიციო გარემო შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით ფასდება:

- პოლიტიკური სტაბილურობით;
- დაბეგვრის დონით;
- ნაციონალიზაციისა და დისკრიმინაციის არსებობით;
- ინფლაციის დონით;
- ვალუტის დევალვაციით, მათგან დამცავი მექანიზმების ქმედითობით;
- საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობით;
- ბიუროკრატიული ბარიერებით;
- ეკონომიკური ზრდის ტემპებით;
- ვალუტის კონვერტაციის შესაძლებლობებით;
- ხელშეკრულებების შესრულების შესაძლებლობით;
- ხელფასის სიდიდითა და პროდუქტიულობით;
- ექსპერტთა მომსახურებით;
- კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის განვითარების დონით;
- ადგილობრივ პარტნიორთა შესაძლებლობებით;
- მოკლევადიანი სესხის გამოყენების შესაძლებლობებით;
- გრძელვადიანი სესხის გამოყენების შესაძლებლობებით.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საინვესტიციო გარემოს შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ერთობ მნიშვნელოვანია ამერიკის სავაჭრო პალატა (AmCham)-ის კერძო მეწარმეობის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც 1983 წელს აშშ-ის სავაჭრო პალატასთან შეიქმნა, მსოფლიოს იმ

ორგანიზაციების დასახმარებლად, რომლებიც კერძო მეწარმეობის განავითარებას და დემოკრატიის დამკვიდრებას ემსახურება.

ამასთან, საინვესტიციო პირობების დასადგენად, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში მყოფი ქვეყნების კაპიტალდაბანდების განხორციელებისთვის უმთავრესი პოლიტიკური ფაქტორებია: ხელისუფლების მიერ ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფა და დემოკრატიულობა, ასევე, მთავრობის მიერ ეკონომიკური პროცესების მართვა და კერძო სექტორის ფუნქციონირება, თუ რა ზომით შეეხება ინვესტორებს (Charaia & Lashkhi, 2018).

ჩვენი აზრით, პოლიტიკური საკითხები, განსაკუთრებით კი, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და ხელისუფლების დადებითი დამოკიდებულება უცხოური ინვესტიციების მიმართ, კომპანიების საინვესტიციო კრიტერიუმებს შორის ყველაზე მთავარ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

ეფექტიანი მმართველობა, ბიზნესის ზრდის პოტენციალი, მოგების გატანის შესაძლებლობა და ბიუროკრატიული ინფრასტრუქტურა იმ კრიტერიუმებს მიეკუთვნება, რომლებიც აიოლებს ან პირიქით, ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, როდესაც კომპანია კაპიტალის დაბანდებას რომელიმე სხვა ქვეყანაში აპირებს (Bakhtadze & Okruashvili, 2019).

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიათა დიდი უმრავლესობა ახლადშექმნილ ბაზრებზე, სადაც დემოკრატიული სისტემები არ არის დამკვიდრებული, ან ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული კაპიტალის დაბანდებას სასურველად არ მიიჩნევენ. ვინაიდან, ინვესტორები კარგად აცნობიერებენ, რომ დემოკრატია სტაბილურობის გარანტი ვერ იქნება (Khondoker et al., 2010).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან როლს შემდეგი ფაქტორები, კერძოდ, მაკროეკონომიკური პროცესების ეფექტიანი მართვა ასრულებს, რაც გულისხმობს:

- ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შეთანხმებულ მოქმედებას;
- დაბალანსებულ ბიუჯეტს, რომელიც კონტროლს ექვემდებარება;
- ინფლაციის დაბალ ან კლებადი ნიშნულს;
- სავალუტო კურსის სტაბილურობას.

ამასთან, ეროვნული ბანკის მიერ დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას, რომელსაც შესაძლებლობა გააჩნია იმგვარად ცვალოს

საპროცენტო განაკვეთი, რომ ინფლაციის დონის რეგულირებით, შეინარჩუნოს ქვეყნის ეროვნული ვალუტის სტაბილურობა. ასევე:

- ადგილობრივი ბაზარის გაფართოება, რომელიც კაპიტალბრუნვის დაჩქარების და ბიზნესის სტაბილურობის მიღწევის საშუალებას იძლევა;
- ინვესტორების მხრიდან სახელმწიფო ქონების პრივატიზება;
- მოგების პოტენციალის ზრდას, მოგებისა და კაპიტალის თავისუფალი გატანის შესაძლებლობების გაფართოება;
- გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც მოიცავს ტელეკომუნიკაციებს, ავტომაგისტრალებს, პორტებს, აეროპორტებს, ელექტროენერგიის გამომუშავებას და სადისტრიბუციო სისტემის ფორმირებას, აგრეთვე ნედლეულისა და სხვა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მასშტაბების ზრდას საერთაშორისო ბაზრებთან შედარებით დაბალი ტარიფებით.

ინვესტირების განხორციელების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბევრ ქვეყანაში ინვესტორების წასახალისებლად სპეციალური კანონებია შემუშავებული, რომელთაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია იმდენად, რამდენადაც ისინი ინვესტორების უფლებებს იცავს. კერძოდ, ამგვარი კანონები ხშირად ზღუდავს ხელისუფლების შესაძლებლობებს მოახდინოს საპრივატზაციო ქონების ნაციონალიზაცია და უზრუნველყოს ჩამორთმეული აქტივების კომპენსაცია (Szent-Iványi, 2017).

ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში მოქმედებს როგორც ინვესტიციების მასტიმულირებელი, ისე ხელშემშლელი ფაქტორები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს, აშშ-სა და ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და სრულყოფაში (Emerson & Kovziridze, 2016). საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან ინტეგრაციასა და სტაბილურობის დონის ამაღლებას, ისე ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

1995 წელს საქართველოში მყარი ეროვნული ფულადი ერთეულის - ლარის შემოღებამ, ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დონის შემცირება უზრუნველყო.

ზემოაღნიშნული იმ აუცილებელ პირობად იქცა, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას, მსოფლიო ბაზრებზე სამამულო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ზრდას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყო ხელი.

ამასთან, თავის მხრივ, საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელება კონსტიტუციით და საინვესტიციო კანონმდებლობით არის დაცული.

უნდა აღინიშნის ისიც, რომ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს როგორც საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონი, ისე საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ მიღებული კანონი. ზემოაღნიშნულის გარდა, ინვესტორებზე ასევე ვრცელდება კანონი პრივატიზების, მიწის შესყიდვის, ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ.

კანონი ინვესტიციების შესახებ უცხოელი ინვესტორებისთვის ისეთივე რეჟიმს აწესებს, როგორც ადგილობრივებისთვის. მასში მოიაზრება მოგების რეპატრიაცია, უარყოფითად მოქმედი საკანონმდებლო ცვლილებებისგან დაცვის ათწლიანი გარანტია, ასევე დავების მოგვარების საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტორის უფლებებს, თავის მხრივ, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეუკრულებები განსაზღვრავს (Lekashvili & Jamagidze, 2014).

ამდენად, საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონი, ნათლად ასახავს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პერსპექტივებს, კერძოდ:

- ინვესტორთა მომსახურებასა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას;
- საქართველოს ინვესტირებისათვის მიმზიდველ ქვეყნად წარმოჩენას;
- ინვესტიციების საკანონმდებლო ბაზის დახვეწას;
- უცხოელი პარტნიორების ჩართულობით საინვესტიციო პროექტების განხორციელებას;
- სხვადასხვა ქვეყნებიდან და კომპანიებიდან ინვესტიციების მოზიდვას და მათთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარებას.

„საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ კანონი განსაზღვრავს სწორედ აღნიშნულ სააგენტოს როლს გარკვეული პროგრამების

განხორციელებაში როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი კომპანიების ხელშეწყობის მიმართულებით.

„ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის“ შესახებ კანონი ინვესტიციების ხელშეწყობის პროცედურების დახვეწას ისახავს მიზნად. მოცემული კანონის მიხედვით, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მიღების პროცესში ინვესტორების წარმომადგენლად გვევლინება.

ზემოაღნიშნული კანონი ასევე დამატებით განმარტავს პრივატიზებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ პროცედურებს. სახელდობრ, ასევე განსაზღვრავს პირდაპირი მიყიდვის პროცედურას, რაც პრივატიზების პროცესს აჩქარებს.

როგორც წესი, თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოში ინვესტიციების მხარდაჭერის მრავალი სააგენტო ფუნქციონირებს. კვლევები ცხადყოფს, რომ სააგენტოს ეფექტიანი ფუნქციონირება იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც იგი ფუნქციონირებს, ვინაიდან არახელსაყრელ საინვესტიციო გარემოში მოქმედი სააგენტოები, ნაკლებეფექტიანია (Oxelheim et al., 2020).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკანონმდებლო სფეროში უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველო, ინვესტიციების ხელშეწყობის აქტიური სტრატეგიის მეშვეობით, წარმატებულ ქვეყანად იქცა.

დასახელებული სააგენტოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყნის იმიჯზე ზრუნვაა. აღნიშნული, სწორედ ქვეყანაზე, ანუ როგორც ინვესტირებისთვის ხელსაყრელ ადგილზე წარმოდგენის შექმნას გულისხმობს (Vella et al., 2015). რაც, თავის თავში როგორც რეკლამის გავრცელებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურებას, ისე უცხოეთში ქვეყნის უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას აერთიანებს.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ქვეყნებში: კერძოდ, ჩინეთში, ინდოეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში საინვესტიციო ფორუმების მოწყობასა და ორგანიზებაში.

ზემოაღნიშნული აქტივობები სწორედ ქვეყნის იმიჯის შექმნაზეა ორიენტირებული, რაც, საბოლოოდ, ტურიზმის განვითარების პოტენციალის რეკლამირებასა და საქართველოს ტრადიციული საექსპორტო წარმოების დივერსიფიცირებაზე აკეთებს აქცენტს.

2007 წელს საბანკო სექტორში უცხოელი ინვესტორებისთვის მარეგულირებელი ნორმების ცვლილების კვალობაზე, ინვესტორს შეეძლო ბანკში განეთავსებინა აქტივების 25 პროცენტი. ამასთან, საწარმოს შექმნაც გამარტივდა. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის გაიოლებულია ფასიანი ქაღალდებით ბირჟის გარეშე ვაჭრობა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში უცხოელი ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი ნავთობისა და გაზის მოპოვების, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების და კვების მრეწველობის სექტორები იყო.

ამ მხრივ, წამყვან ინვესტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: „ფრონტერა რესურს კორპორაცია“ (აშშ), რომელსაც საქართველოში ნავთობის მოპოვებაში 30 მლნ აშშ დოლარზე მეტი აქვს დაბანდებული;

„მეტროგედია ინტერნაციონალი“ - 40 მილიონიანი აშშ დოლარის ინვესტიციით ტელეკომუნიკაციების დარგში;

„პერნოდ რიკარდი“ (საფრანგეთი) - სოლიდური ინვესტიციებით ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში;

„ეი-იე“-ს (აშშ) ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და გენერაციის სექტორში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, რომელიც რეალურ შესაძლებლობებს სრულად ვერ იყენებს. რაც, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანას უცხოურ ინვესტიციების მოზიდვის დიდ პერსპექტივებს უქმნის.

ენერგეტიკაში მოზიდული ინვესტიციები უკვე გამოყენებულია „თბილსრეს“-ში, „ხრამჰეს“-ში და „ხრამჰესი 2“-ში, აგრეთვე 2004 წლის ბოლოს მწყობრში ჩადგა ჩინური ინვესტიციებით აგებული „ხადორ-ჰესი“, რომელმაც კახეთის რეგიონის ელექტრომომარაგება მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, ასევე, ხელსაყრელ გარემოს ქმნის კაპიტალდაბანდებების განხორციელება ნავთობის, შავი და ფერადი ლითონების, მანგანუმის, მადნებისა და ფეროშენადნობების, ასევე, მანქანათმნშენებლობაში წარმოებაში.

ინვესტიციების განსახორციელებლად, ასევე, მიმზიდველია ისეთ დარგებში დაბანდება, როგორიც არის: სამთო-ქიმიური მრეწველობა, მინერალური წყლები,

სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, თამბაქოს წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა და სხვ.

ამასთან, რადგანაც საქართველოს დიდი რაოდენობით კურორტები, მინერალური წყლები, კარსტული მღვიმეები, ისტორიული ძეგლები გააჩნია, ერთობ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა შექმნილი ტურიზმის სფეროშიც.

საქართველოში ინვესტიციების დაბანდება აგრეთვე მოგებიანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, რაც ტრასეკის პროექტის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, აღნიშნულ პროექტში დაბანდებული ინვესტიციები ტრანსევროპული და ტრანსაზიური სატრანსპორტო ქსელების გახსნას და ამოქმედებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მსოფლიოში არსებული ენერგეტიკული ბაზრები საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მიმართ დიდ ინტერესს ავლენენ, რაც განპირობებულია ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისთვის კასპიის, ცენტრალური აზიის და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე მეტად ეფექტიანი და უმოკლესი გზის არსებობით.

ამავდროულად, ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველო როგორც რუსეთს, ისე კასპიის ქვეყნებს ესაზღვრება, რომლებიც ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს ფლობენ.

ასევე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველო თურქეთს ესაზღვრება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველო, როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ქვეყანა სამიზნე ხდება აღნიშნული პროდუქტების მომხმარებელი ქვეყნებისთვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი ყურადღება ეთმობა როგორც სუფსის ტერმინალის, ასევე აზერბაიჯანის ნავთობსადენის მშენებლობას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების ნაკადი.

ჩვენი ქვეყნის, აზერბაიჯანისა და თურქეთის – ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის საინვესტიციო ჯგუფში გაერთიანებული არიან: აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კორპორაცია (50 პროცენტი), დიდი ბრიტანეთის „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (25 პროცენტი), აშშ-ს ნავთობის კომპანია „იუნოკალი“ (7 პროცენტი), ნორვეგიის „სტატოილი“ (6 პროცენტი).

ერთობ საინტერესოა ტრანსკავკასიური გაზის მილსადენის მშენებლობა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ერთად ენერგეტიკულ დერეფანს ქმნის.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, საქართველოს მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელა ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გასაჯანსაღებლად. აღნიშნული გამოვლინდა ახალ საგადასახადო კოდექსში, საგადასახადო განაკვეთებისა და გადასახადების სახეების შემცირებაში, რომლითაც, როგორც ეკონომიკური სუბიექტები, ისე ფიზიკური პირები იბეგრებოდნენ.

ვაჭრობის გამარტივების მიზნით, 2006 წელს ამოქმედებული საბაჟო კოდექსი ითვალისწინებდა როგორც საბაჟო კატეგორიების, ისე ექსპორტისა და იმპორტის სატარიფო განაკვეთების შემცირებას. ზემოთ ხსენებულმა ლიბერალურმა ღონისძიებებმა ასევე მოიცვა ლიცენზირების, ნებართვების და შრომის რეგულირების მიმართულებები.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა ინიციატივებმა განაპირობა ჩვენს ქვეყანაში შრომის რეგულირებისა და სავაჭრო რეჟიმის ოპტიმიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა მოქმედებს.

ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის არასასურველი კლიმატის განმაპირობებელ ფაქტორებად უნდა იქნეს მიჩნეული:

- ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც გარკვეულწილად აფერხებს ბიზნესის სტაბილურ და მდგრად განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, ხელისშემშლელ გარემოს ქმნის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით;
- ეთნოკონფლიქტების არსებობის პირობებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, რაც წარმოქმნის სახელმწიფო საზღვრის დაცვის პრობლემას;
- 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში განვითარებულმა მწვავე ეკონომიკურმა, საფინანსო, ენერგეტიკულმა, სასურსათო, ეკოლოგიურმა და სხვა სახის კრიზისებმა ეკონომიკის რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩენა გამოიწვია. ეკონომიკის ფუნქციონირების მოშლა კი - უცხოურ ინვესტიციებზე მოთხოვნას მკვეთრად ამცირებს და მათ მოზიდვას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის;

- ამავდროულად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული უცხოური ინვესტიციების დაზღვევის მყარი სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და უცხოეთიდან დიდი მოცულობით ინვესტიციების შემოდინებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირდაპირი უხოური ინვესტიციები უმთავრესად ინფრასტრუქტურული პროექტების (კერძოდ, ენერგეტიკა, მილსადენები, ტრანსპორტი და სხვ.) დაფინანსებას ხმარდება, რაც დადებით როლს ასრულებს ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაში, თუმცა ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ნაკლებად უწყობს ხელს.

ჩვენი აზრით, სავაჭრო დეფიციტის გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კონკურტულად იმ სექტორებში უნდა წარიმართოს, რომლებიცაა: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მომსახურების სფერო და სხვ.

2.3 საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უცხოური ინვესტიციები, მათი მოზიდვა და გამოყენება, თითქმის ყველა ქვეყანაში სასიკეთოდ აისახება ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ:

- უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვან, რიგ შემთხვევებში კი გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებას და საექსპორტო პოტენციალის განვითარებას;
- ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების „ნოუ-ჰაუს“ შემოტანას;
- აჩქარებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტას;

- უზრუნველყოფს მართვისა და მარკეტინგული მომსახურების უახლესი მეთოდების დანერგვას;
- განაპირობებს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების პერმანენტულ ზრდას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ უცხოური ინვესტიციებისთვის ბარიერების მოხსნისა და უფრო კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნისთვის მიზანშეწონილია:

- ხელი შეუწყოს ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლის სამართლიან გადანაწილებას;
- ეკონომიკური ზრდის, სოციალური სტაბილურობისა და ბაზრების გაფართოების უზრუნველსაყოფად საშუალო ფენის ჩამოყალიბებას;
- სწავლისა და სწავლების დონის გაუმჯობესებით, თემატური ტრენინგების ორგანიზებით ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, დასაქმების მასშტაბების ზრდას და უმუშევრობის შემცირებას.

ამასთან, ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ისეთი მექანიზმები, რომელიც შემუშავებულ იქნა ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში. ვინაიდან სწორედ დასახელებული ქვეყნები წარმოდგებიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე უმსხვილეს კონკურენტებად (Trąpczyński, 2014).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი დინამიკიდან გამომდინარე, სწორედ ჩინეთი მიიჩნევა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების პლაცდარმად (Huang & Tang, 2011).

ამდენად, ჩინეთის გამოცდილება უნიკალურად იმიტომაც არის მიჩნეული, რომ თავის მხრივ, ქვეყნის ხელისუფლებამ ქმედითი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ფონზე შეძლო შეენარჩუნებინა ადრინდელი პოლიტიკური სისტემა და მბრძანებლური მექანიზმები, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების გატარების პარალელურად (Whally & Xin, 2010).

გასული საუკუნის დასასრულს ჩინეთი ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მსოფლიოს მეორე უმსხვილეს საინვესტიციო სამიზნედ იქცა. ამავდროულად, ჩინეთის მთავრობა განაგრძობს უცხოელი ინვესტორებისთვის პირობების გაუმჯობესებას და მათ ადგილობრივ ინვესტორებთან შედარებით,

გარკვეულ უპირატესობებს სთავაზობს, რაც აქციების განთავსებისას ადგილობრივი და უცხოელი მყიდველებისთვის განსხვავებული ფასების დაწესებაშიც გამოიხატება.

ზემოაღნიშნულის გარდა, ჩინეთმა იმ სექტორების კატალოგი გამოაქვეყნა, რომელსაც უცხოური ინვესტიციების წახალისება, ნებართვის გაცემა, შეზღუდვა ან აკრძალვა შეეხება.

უცხოეთიდან ინვესტიციების მიღების სტიმულირება, ასევე, აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ბუნების დაცვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ამასთან, ჩინეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გადასახადებთან დაკავშირებული შეღავათები და არდადაგები, ხელსაყრელი საიმპორტო ტარფიები, უცხოელი პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული ფორმა და მენეჯმენტის ავტონომიურობაა შემოღებული (Han, 2010).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1998 წლიდან ჩინეთში აკრძალეს საიმპორტო საბაჟო ტარიფი და დღგ იმ ობიექტებისთვის მოწყობილობის მიწოდებაზე, რომლებსაც უცხოური კაპიტალის გამოყენებით ქმნიან. ასევე შემოღებულია „საგადასახადო არდადაგები“ გარკვეული პერიოდით, რაც მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას ითვალისწინებს.

ზემოთ მოცემული სქემა ჩინეთის გარდა, როგორც განვითარებად, ისე ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებშიც ფართოდ გამოიყენება.

ამავდროულად, კონკრეტული დარგის კონკურენტუნარიანობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებით დადებითი ეფექტის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ მძაფრი კონკურენციის პირობებში ადგილობრივი კომპანიების ახალ ბაზრებზე შესვლის ეფექტი მაღლდება. თუმცა, საერთაშორისო კომპანიებს, ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით, ორი ძლიერი პოზიცია აქვთ – კაპიტალი და წარმოების გლობალური მასშტაბი, რაც მათ საშუალებას აძლევს, უფრო სწრაფად დააბალანსონ დარგში არსებული პროდუქტიულობის დაბალი (Papava & Gogatadze, 2015).

ამასთან, ამა თუ იმ დარგში უცხოურ კომპანიებს შორის კონკურენცია ინოვაციების უფრო სწრაფ გავრცელებას უწყობს ხელს. მოცემულ შემთხვევაში,

მომხმარებლებიც მოგებულნი რჩებიან, ვინაიდან პროდუქტიულობის ამაღლება ფასების შემცირებას განაპირობებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელსაც ინვესტორები ითვალისწინებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას, არის ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. აქედან, გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლებამ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. რადგან ინფრასტრუქტურის არსებული დონე მნიშვნელოვნწილად განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას (Susilo, 2018).

ამასთან, ინფრასტრუქტურის სრულყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ კომპანიებისთვისაა, რომლებიც საოპერაციო ეფექტიანობის ასამაღლებლად განვითარებად ბაზრებზე გადიან, რადგან ინფრასტრუქტურის არსებობაზე დიდადაა დამოკიდებული, მიაღწევს თუ არა ინვესტორი დასახულ მიზანს (Kaur et al., 2016).

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ განვითარებად ქვეყნებში უცხოელი ინვესტორების შემოსვლის ეფექტი აღურიცხავი ეკონომიკის არსებობიდან გამომდინარე, საგრძნობლად მცირდება. იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები მაღალია, ხოლო კონტროლი – სუსტი, ადგილობრივი კომპანიები „ჩრდილში“ ყოფნას ამჯობინებენ. საზღვარგარეთული კომპანიები კი - უმეტესად კანონის მოთხოვნებს ასრულებენ. ის ფაქტი, რომ აღნიშნული კომპანიები არაკონკურენტუნარიანი ხდებიან, პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა – რითაც მათი ბაზარზე შესვლის ეფექტი იზღუდება. „ჩრდილში მყოფები“ კი, ძირითადად გადასახადების არგადახდით სარგებლობენ და მცირე მასშტაბების, ასევე დაბალი ეფექტიანობის მიუხედავად, ბაზრის დიდ წილს იკავებენ და მაღალპროდუქტიული კომპანიების წინსვლას ხელს უშლიან, რითაც ეკონომიკის განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების პროცესს ამუხრუჭებენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო ხელისუფლების როლი ფუნდამენტურია იმგვარი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის: ქვეყანაში პოლიტიკური კუთხით არსებული არასტაბიულური გარემო, კორუფცია და ა.შ., რაც საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში არსებით როლს ასრულებს (Silagadze & Zubiashvili. 2016).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაც უფრო არასტაბილურია საინვესტიციო გარემო, მით უფრო მატულობს ინვესტორთა სამეწარმეო რისკები, მიმღები (რეციპიენტი) ქვეყნისთვის კი - ინვესტიციების მოსაზიდად გაწეული ხარჯები იზრდება.

რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, საინვესტიციო გარემოზე ნეგატიურად მოქმედ ძირითად ფაქტორებს განეკუთვნება: პოლიტიკური განუსაზღვრელობა, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, საგადასახადო ტვირთი, სამართლებრივი რეგულირება, კორუფცია და სხვ. (International Bank for Reconstruction and Development (IBRD) Court Fees Case).

იმისთვის, რომ განხორციელდეს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება, მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს უპასუხებს, რაც, თავის მხრივ, ინვესტორებს სტაბილურობის და სიმშვიდის განცდას შექუმნის (European Comission, 2014).

ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ის რისკები, რომელიც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირებას განაპირობებს (Campisi & Caprioni, 2016).

ამავდროულად, მნიშვნელოვანია საბოლოოდ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი მიმართულებები (სტრატეგიები), რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობის ეფექტიანი რეჟიმის შექმნის უზრუნველსაყოფადაა უცილებელი.

ჩვენი აზრით, ინვესტიციების ხელშეწყობის ეფექტიანი რეჟიმის დასამკვიდრებლად ქვეყნის განვითარების საერთო სტრატეგიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის გააზრებას უნდა მიენიჭოს. აღნიშნულის რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია პუი-ს ნაკადების დინამიკისა და სტრუქტურის, ასევე ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალის განსაზღვრა, რათა დადგინდეს ეროვნულ ეკონომიკაზე ინვესტიციების მოსალოდნელი ეფექტი. კერძოდ:

- ქვეყანაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ ეკონომიკის რომელ დარგში და რომელ რეგიონებშია პუი ყველაზე მეტად საჭირო და რა ტიპის ინვესტიციის მოზიდვაა აუცილებელი ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად;

- ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს განვითარება: პუი-ს საჭიროებისა და მათი მოზიდვის პოტენციალის ანალიზის საფუძველზე, საქართველომ უნდა მიიღოს ზომები ქვეყანაში ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს რესტრუქტურიზაციის და ახალი სააგენტოს შექმნის უზრუნველსაყოფად. რისთვისაც, ორგანიზაციული სტრუქტურის, უფლება-მოვალეობების, ფუნქციებისა და პერსონალის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა სახის ინვესტიციების მოზიდვაა საქართველოს რეალობისთვის ყველაზე მოსარგები და შესაფერისი. სასურველია, აღნიშნული ორგანიზაციული ჩარჩო „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგნეტოს შესახებ“ ახალ ან შესწორებულ კანონში აისახოს;
- ამასთან, შეიძლება დაკონკრეტდეს არის თუ არა სააგენტო პასუხისმგებელი საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის გაუქმებული სააგენტოს ფუნქციები იკისროს;
- ამასთან, ქვეყანაში მოქმედმა დებულებებმა და კანონებმა უნდა უზრუნველყოს, რომ სააგენტოს ფუნქციონირება პოლიტიკურ პროცესებთან არ იყოს მიბმული, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც პერსონალის, ასევე ხელმძღვანელ პირთა ხშირი შეცვლის უარყოფითი შედეგები;
- ინვესტიციების ხელშეწყობის სტრატეგიის ჩამოყალიბება: სააგენტოს შექმნის შემდეგ უნდა განხორციელდეს საქართველოს, როგორც საინვესტიციო ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და ისეთი სექტორების გამოვლენა, რომლებშიც ძლიერი მხარეების მაქსიმალური კაპიტალიზაცია მოხერხდება;
- ზემოთ დასახელებულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სააგენტოს საქმიანობაში, ორგანიზაციულ ფუნქციებში, პარტნიორულ ურთიერთობებსა და ბიუჯეტში ეკონომიკის კონკრეტული დარგების განვითარების მიზნების და პრიორიტეტების ასახვა. ასევე, თუ ერთ-ერთ პრიორიტეტს ტურიზმი წარმოადგენს, მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დამყარდეს ეროვნულ ტურსიტულ ორგანიზაციებთან და ქვეყანაში ფუნქციონირებად კურორტებთან;
- ეფექტიანი პარტნიორობის დამყარება: იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს შეზღუდული რესურსები და მოცვის მცირე არეალი აქვს, უნდა

შემუშავდეს სხვა მოთამაშეებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის სტრატეგია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფუნქციების დუბლირება და ამაღლდეს სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის დონე;

- როგორც წესი, საინვესტიციო სააგენტოებს პარტნიორთა საკმაოდ ფართო ქსელი გააჩნიათ, რომელშიც სავაჭრო პალატები, ბიზნეს ასოციაციები, კერძო საკონსულტაციო ფირმები, სამშენებლო კომპანიები, დონორი ორგანიზაციები ერთიანდებიან.
- ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოს საინვესტიციო სააგენტომ ინვესტიციების მოსაზიდად ადგილობრივი და რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი;
- გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს იმიჯის შექმნისა და ამაღლებისთვის საჭიროა ქვეყნის ადგილმდებარეობის ინვესტორისეული ხედვის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა და ასევე განვითარების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავება.

საქართველში ინვესტიციების მოზიდვა მკაფიო სტრატეგიულ მიდგომას უნდა დაეფუძნოს. საქართველომ თავი უნდა შეიკავოს სარეკლამო კომპანიებში ტურიზმსა და ტრადიციულ პროდუქტებზე ზედმეტი ფოკუსირებისგან და ყურადღება უმთავრესად ბიზნესის განსავითარებლად საჭირო სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაზე (კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირების, საბაჟო და საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის, ადამიანური კაპიტალის განვითარების, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით) გაამახვილოს (Oury Bah et al., 2015).

ამასთან, არსებითი მნიშვნელობა საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრას და გენერირებას ენიჭება. ინვესტიციის გენერირების ერთ-ერთ მთავარ ელემენტად მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება მოიაზრება, რომელიც ინვესტორთა გამოვლენისა და მათთვის დახმარების დროულად აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა (Javorcik, 2007).

იმ სააგენტოებმა, რომლებსაც შეზღუდული რესურსები გააჩნიათ, ფოკუსირება ისეთ ინვესტორებზე უნდა მოახდინონ, რომლებმაც როგორც ქვეყნის, ისე მისი

კონკრეტული ადგილის მიმართ მზარდი ინტერესი გამოხატეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო ფართომასშტაბიანი კამპანიების დაგეგმვა და რეალიზება (Hoang, 2021).

ასევე, ერთობ მნიშვნელოვანია ინვესტორთა მომსახურება: სხვა მრავალი გარდამავალი ქვეყნის მსგავსად, საქართველოს ნაკლებად გააჩნია იმ დონის ბიზნესმომსახურება და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებს სრულად პასუხობს.

ამასთან, კონსულტანტები და იურისტები ამგვარ მოთხოვნებს მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოტენციური ინვესტორის გარდა, მომსახურება მოქმედი ინვესტორებისთვის დახმარების გაწევასაც ითვალისწინებს. აღნიშნული მიმართულებით სააგენტოს შეუძლია უკვე მოქმედ კომპანიებს დამატებით კაპიტალდაბანდებათა განხორციელებაში შეუწყოს ხელი.

ამასთან, დიდი ყურადღება ეთმობა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს: მონიტორინგი და შეფასება ისეთ ინსტრუმენტებს მოიცავს, რომლებიც ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

ჩვენი აზრით, შესაბამისი სისტემებისა და საქმიანობის წარმათვის კრიტერიუმების შემუშავებით სააგენტო გაცილებით უკეთ შეძლებს დაანახოს მთავრობას და სხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებს მისი საქმიანობის ეფექტიანობა. როგორც წესი, ზედამხედველობის დაწესება და შეფასება ის ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას აძლევს სააგნეტოს ხელმძღვანელობას გააუმჯობესოს ორგანიზაციული სტრუქტურა, პროცედურები, აამაღლოს პერსონალის კვალიფიკაციის დონე და სრულყოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი (Milutinovic & Stanisic, 2016).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შედარებით მცირე და ნაკლებადცნობადი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესიულ დონეზე შესრულებულ პრეზენტაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორებს შორის ინტერესის გაღვივებაში.

როგორც წესი, კომპანია პოტენციური კაპიტალდაბანდების განხორციელების სფეროების ანალიზს მისი ინტერესის შესაბამისი ინფორმაციის მოძიებით იწყებს (Susic, 2018).

თავის მხრივ, ინვესტორისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ და ეფექტიანი სარეკლამო ინსტრუმენტების გამოყენებამ შეიძლება დაინტერესებულ პირებს ბაზრის უფრო დეტალური შესწავლისკენ უბიძგოს. თუმცა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ვებგვერდი ბიზნესისთვის საჭირო და ტევად ინფორმაციას ნაკლებად შეიცავს (Panicker, 2018).

2.4 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა 2012-2020 წლებში. აღნიშნული ცხრილი საშუალებას იძლევა დავახასიათოთ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი სტრუქტურა როგორც ქვეყნების, ისე ეკონომიკის სექტორების და რეგიონების ჭრილში.

ცხრილი 2: უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა

წლები	ჯამი, სულ	ევროკავშირის ვეყნები	დსთ-ის ქვეყნები	დანარჩენი ქვეყნები	თბილისი	დანარჩენი
2012	1048.2	370.1	98.6	516.1	772.7	275.5
2013	1039.2	369.9	144.4	470.1	750.3	288.9
2014	1837.0	727.1	457.7	758.2	1343.2	493.8
2015	1728.8	417.2	634.0	631.1	1382.9	345.9
2016	1654.0	327.8	610.5	677.3	1416.0	238.0
Q1	392.9	89.8	143.8	144.0	277.9	115.0
Q2	452.6	103.0	156.4	189.4	415.0	37.6
Q3	507.8	133.3	158.2	208.3	407.2	100.6
Q4	300.6	1724.0	152.1	136.0	316.0	-15.4
2017	1980.8	558.6	519.3	900.4	1529.7	451.0
Q1	413.3	61.7	106.6	239.6	311.1	102.2
Q2	396.6	96.2	130.1	179.1	305.9	90.7
Q3	635.4	156.5	182.2	293.7	444.9	190.5
Q4	534.4	244.1	100.4	188.0	467.9	67.5
2018	1317.1	416.8	295.4	603.3	1047.9	269.2
Q1	329.3	79.4	85.1	160.1	286.3	43.0
Q2	408.1	204.1	61.9	140.2	308.0	100.1
Q3	367.2	119.4	79.0	176.5	271.4	95.8
Q4	212.4	13.8	69.4	126.6	182.2	30.2
2019	1335.8	426.9	145.0	757.0	935.3	400.5
Q1	317.2	44.7	30.6	238.8	245.4	71.8
Q2	241.2	121.0	38.9	81.0	139.6	101.6
Q3	403.6	168.0	38.1	197.9	269.2	134.4
Q4	373.8	93.3	145.0	239.1	281.0	92.8
2020*	572.0	333.1	53.0	184.5	325.8	246.2
Q1	171.0	40.0	10.4	114.9	134.1	36.9
Q2	240.3	138.2	9.9	98.7	135.2	105.1
Q3	294.8	107.5	19.3	164.7	238.1	56.7
Q4	-134.2	47.5	13.2	-193.8	-181.7	47.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 3: უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით

წლები	დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობა	ენერგეტიკა	საფინანსო სექტორი	მშენებლობა	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	დანარჩენი
2012	208.6	179.4	162.3	107.6	92.3	298.1
2013	151.0	246.1	174.5	79.6	151.6	236.4
2014	298.9	190.0	126.6	324.5	440.5	456.4
2015	192.7	123.7	201.6	144.4	608.2	458.0
2016	173.3	145.1	124.1	176.6	662.8	372.1
Q1	20.4	37.0	42.8	52.2	189.2	51.3
Q2	34.0	43.1	64.0	28.3	177.8	105.2
Q3	79.4	41.0	38.8	59.4	210.2	79.1
Q4	39.6	24.0	-21.6	36.6	85.6	136.4
2017	151.3	279.0	308.8	177.3	524.9	539.5
Q1	25.2	39.7	76.3	55.8	139.1	77.2
Q2	32.6	62.2	2.5	13.6	125.8	160
Q3	56.5	99.5	77.3	61.7	179.8	160.7
Q4	37.0	77.6	152.6	46.2	80.2	141.8
2018	233.0	123.1	274.0	175.2	163.5	348.3
Q1	62.5	-14.0	111.0	102.5	480.8	66.9
Q2	36.0	103.5	62.8	45.8	74.9	85.1
Q3	70.3	38.9	18.8	25.9	71.5	141.8
Q4	64.2	-5.3	81.4	1.0	16.6	54.4
2019	169.7	261.4	272.1	46.0	127.1	459.5
Q1	30.3	48.1	48.1	4.9	44.2	118.5
Q2	53.3	-24.3	-24.3	7.8	22.4	94.1
Q3	65.1	106.5	106.6	-11.5	32.1	162
Q4	-20.5	141.8	141.8	44.8	28.5	84.7
2020*	134.3	-7.8	404.4	33.3	62.7	-54.8
Q1	15.0	96.6	95.1	-553.0	21.1	62.3
Q2	42.8	79.5	78.1	22.9	14.8	48.9
Q3	59.3	129.8	128.3	-12.7	10.6	73.3
Q4	17.3	98.4	98.8	23.6	16.2	-239.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილებიდან (ცხრილი 2 & ცხრილი 3) ირკვევა, საქართველოში 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წლიურ გამოსახულებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მცირედით - 0.9 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ძირითადად დანარჩენი ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების 8.9-პროცენტიანი კლებით იყო განპირობებული. დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებული ინვესტიციები პირიქით, მნიშვნელოვანი 46.5-პროცენტიანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა.

დარგობრივ ჭრილში სამთომოპოვებით მრეწველობაში მნიშვნელოვან - 2.3-ჯერ, მატებას ჰქონდა ადგილი. ენერგეტიკის სექტორში ერთობ მაღალი - 37.3-პროცენტიანი ზრდა გამოვლინდა. საფინანსო სექტორი ზომიერი ტემპით - 7.5-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები კი - შთამბეჭდავად, 64.2 პროცენტით გაიზარდა.

დანარჩენ დარგებში ინვესტირებული თანხები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.7 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ძირითადად საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ასევე მშენებლობის სექტორებში (შესაბამისად, 3.8; 3.4 და 2.8 პროცენტით) კლებით იყო განპირობებული.

საანალიზო პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35.6 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნების, 9.4 პროცენტი - დსთ-ის ქვეყნების, ხოლო 49.2 პროცენტი - დანარჩენი ქვეყნების წილად მოდიოდა.

2014 წელს წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შთამბეჭდავი, 76.8 პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა. აღნიშნული მეტწილად დამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვანი - 2.4-ჯერ ზრდის, სამთომპოვებითი მრეწველობის - 3.7 პროცენტით მატების, მშენებლობის ერთობ მაღალი ტემპით - 4.1-ჯერ, ასევე ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის - 1.9- ჯერ მატების შედეგი იყო.

აღნიშნულ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 24.1 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, 24.9 პროცენტი დსთ-ის ქვეყნებიდან, 51 პროცენტი კი - დანარჩენი ქვეყნებიდან შემოედინებოდა.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თითქმის 6 პროცენტით შემცირდა. ინვესტიციების წლიურ ზრდაზე უარყოფით გავლენას დამამუშავებელ და სამთომპოვებით მრეწველობაში, ასევე ენერგეტიკისა და მშენებლობის სექტორში ინვესტიციების შემცირება (შესაბამისად, 5.9; 34.9 და 44.5 პროცენტით) ახდენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წელს ევროკავშირის, დსთ-ს და დანარჩენი ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციები შესაბამისად, მთლიანი ინვესტიციების - 24.1; და 36.7 პროცენტს, დსთ-ს წილი კი - 14.2 პროცენტს შეადგენდა.

2016 წელს წლიურ გამოსახულებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4.4 პროცენტით კლება დამამუშავებელ და სამთომპოვებით მრეწველობასა და საფინანსო სექტორში ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია.

ამასთან, საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციები მთლიანი ინვესტიციების 19.9 პროცენტს შეადგენდა. დსთ-დან და დანარჩენი ქვეყნებიდან მიღებული ინვესტიციების წილი კი - შესაბამისად, 36.9 და 40.9 პროცენტით განისაზღვრა.

2017 წელს, წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთობ მაღალი ზრდის ტემპით - 19.7 პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა. აღნიშნული ზრდა უმთავრესად ენერგეტიკის და საფინანსო სექტორში ინვესტიციების შთამბეჭდავი (შესაბამისად, 92.4 და 97.7 პროცენტით) მატებით იყო განპირობებული.

აღსანიშნავია ისიც რომ, საანალიზო პერიოში დამამუშავებელ და სამთომპოვებით მრეწველობაში, ასევე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში შესაბამისად, 12.8- და 20.8-პროცენტიანი კლება გამოვლინდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2018 წელს წლიურ გამოსახულებში - 33.5 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ძირითადად ნიდერლანდებიდან და ლუქსემბურგიდან საინვესტიციო ნაკადების (შესაბამისად, 40.4 და 50.3 პროცენტით) კლებას უკავშირდებოდა. შესაბამისად, 2018 წელს წლიურ გამოსახულებაში ინვესტიციები მკვეთრად - 33.7 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული უმთავრესად ენერგეტიკის, საფინანსო, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორებში განთავსებული ინვესტიციების მკვეთრი დაცემით (შესაბამისად, 43.8 და 8.7 პროცენტით, ასევე 3.2-ჯერ;) იყო განპირობებული.

2019 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 1.4 პროცენტით გაიზარდა. მასზე უარყოფით გავლენას დამამუშავებელ და სამთომპოვებით მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, ასევე საფინანსო სექტორში, ინვესტიციების შესაბამისად, 27.7 პროცენტით; 4.9-ჯერ; 22.3 პროცენტით შემცირება ახდენდა.

2020 წელს წლიურ გამოსახულებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შთამბეჭდავი - 57.3-პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა. აღნიშნული უმთავრესად,

როგორც ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების უპრეცედენტო (45.1-ჯერ), ასევე ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში ინვესტიციების 52.2 პროცენტით შემცირებამ განაპირობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა 5 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის მიხედვით.

ცხრილი 4: ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ინვესტიციები , სულ	1048.2	1039.2	1837.0	1728.8	1654.0	1980.8	1317.1	1335.8	572.0
მათ შორის:									
ევროკავშირი	370.1	369.9	727.1	417.2	327.8	558.6	416.8	426.9	333.1
მათ შორის:									
ნიდერლანდები	34.2	159.2	420.5	164.9	77.3	355.3	211.6	88.1	200.7
მალტა	32.2	44.3	45.8	28.1	29.4	10.0	25.1	1.2	45.9
გერმანია	142.4	31.9	4.2	-2.6	24.3	-94.5	40.7	23.7	36.5
დანია	6.5	9.6	12.7	12.1	-7.3	-4.5	15.2	2.8	28.9
ლუქსემბურგი	42.0	91.7	109.6	127.3	115.7	100.7.	50.1	68.8	21.6
დანარჩენი ქვეყნები	325.3	277.4	408.2	836.8	999.0	806	374.7	487.4	238.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილი 2-ის მონაცემებიდან ირკვევა, 2013 წელს წინა წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა.

2014 წელს წლიურ გამოსახულებაში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციები ერთობ შთამბეჭდავი - 76.8-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა. აღნიშნული მეტწილად ნიდერლანდებიდან, ლუქსემბურგიდან და დანიიდან (შესაბამისად, 2.6-ჯერ; 19.5 პროცენტით და 47.7 პროცენტით) შემოსული საინვესტიციო ნაკადების მატების შედეგი იყო.

2015 წელს წინა წლის ანალოგიურად, კვლავ გაგრძელდა ლუქსემბურგიდან განხორციელებული ინვესტიციების მაღალი ტემპით - 16.2 პროცენტით მატება. ნიდერლანდებიდან და მალტიდან განხორციელებული ინვესტიციები კი - შთამბეჭდავი, შესაბამისად, 39.2 - და 61.4-პროცენტიანი კლებით ხასიათდებოდა.

2016 წელს წინა წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 4.3 პროცენტით შემცირდა და 1654 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აღნიშნული მეტწილად ნიდერლანდებიდან, ლუქსემბურგიდან და მალტიდან შემოსული ინვესტიციების შესაბამისად, 53.1; 9.1 და 19.4 პროცენტით კლებამ გამოიწვია.

2017 წელს წლიურ გამოსახულებაში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შთამბეჭდავი მატებით - 70.4-პროცენტიანი ზრდით ხასიათდებოდა. აღნიშნული უმთავრესად ნიდერლანდებიდან შემოსული ინვესტიციების 4.6-ჯერ მატებით იყო განპირობებული.

2018 წელს წინა წელთან მიმართებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად - 25.4 პროცენტით შემცირდა. ამის მიზეზი მეტწილად ჩეხეთიდან, ასევე კვიპროსიდან განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ვარდნის (შესაბამისად, 41.5 პროცენტით შემცირების და 7.7-ჯერ კლების) შედეგი იყო.

2019 წელს წინა წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2.4-პროცენტიანი ზრდით ხასიათდებოდა. ამის მიზეზად ირლანდიიდან შემოსული ინვესტიციების უპრეცედენტო - 41-ჯერ, ასევე კვიპროსიდან განხორციელებული ინვესტიციების 1.3-ჯერ ზრდა უნდა იქნეს მიჩნეული. ჩეხეთიდან განხორციელებული ინვესტიციები კი - პირიქით, 76 პროცენტით შემცირდა.

ამასთან, დისერტაციაში გაანალიზებულია ევროკავშირის 5 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი და კვარტალური დინამიკა 2019-2020 წლებში.

ცხრილი 5: ევროკავშირის ქვეყნებიდან 5 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნა და მათი წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (პუი), მლნ აშშ დოლარი

ქვეყნები	2019				2020			
პუი, სულ	1 335.8				572.0			
მ.შ. ევროკავშირის ქვეყნები, სულ	2019				2020			
	Q1	Q2	Q3	Q4	Q1	Q2	Q3	Q4
	44.7	121	168.0	93.3	40.0	138.2	107.5	47.5
ირლანდია	133.5	-0.2	-0.5	0.5	-0.1	0.4	0.4	0.1
ნიდერლანდები	-81.8	65.9	49.6	54.4	21.7	68.8	90.5	19.6
მალტა	-35.4	8.0	15.9	12.7	10.2	19.3	4.5	11.9
გერმანია	10.7	6.1	14.9	-8.1	4.8	8.1	8.2	15.4
დანია	11.0	-7.4	14.7	-15.5	13.4	7.9	-3.9	11.5
ლუქსემბურგი	8.2	14.2	19.0	27.4	7.7	8.7	7.0	-1.8
დანარჩენი ქვეყნები	132.6	33.3	53.9	22.3	-17.8	25.4	1.2	-9.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთ მოცემული ცხრილის მონაცემები ცხადყოფს, რომ 2019 წელს გასულ წელთან შედარებით 41-ჯერ გაიზარდა ინვესტიციები ირლანდიიდან, რის შედეგადაც მან ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქართველოში უმსხვილესი ინვესტორის სტატუსი მოიპოვა.

ამასთან, საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან 5 უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანად ირლანდია, ნიდერლანდები, გერმანია, დანია და ლუქსემბურგი გვევლინებოდა.

2020 წელს წლიურ გამოსახულებაში ევროკავშირის ქვეყნებიდან საინვესტიციო ნაკადების მნიშვნელოვანი - 57.2 პროცენტით შემცირება უმთავრესად, როგორც ირლანდიიდან, ისე ლუქსემბურგიდან ინვესტიციების - შესაბამისად, 99.5 და 69 პროცენტით კლების შედეგი იყო.

საკვალიფიკაციო ნაშრომში, ასევე გაანალიზებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება კვარტალების მიხედვით.

გრაფიკი 9. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში სამუშაო ძალის (აქტიური მოსახლეობის) მაჩვენებელი 2018-2021 წლებში გარკვეული მერყეობებით გამოირჩეოდა.

2018 წლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში სამუშაო ძალის მაჩვენებელი, შესაბამისად, 21.7-; 18.4-; 18.3- და 18.6-პროცენტით იყო გამოხატული და შესაბამისად, 1592; 1602; 1631 და 1597 ათასით განისაზღვრა.

2019 წლის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მაჩვენებელი 2-; 1.1-; 1.5- და 2- პროცენტული პუნქტით შემცირდა და შესაბამისად, 17.6 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება 2020 წლის კვარტალური მონაცემების შედარებას წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, ამ მხრივ, 2020 წლის პირველ კვატრალში, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით სამუშაო ძალა პირველ კვარტალში 1.4- პროცენთით შემცირდა, მეორე კვარტალში 1- პროცენტით გაიზარდა, მესამე კვარტალში უმნიშვნელოდ, 0.3- პროცენტით შემცირდა, მეოთხე კვარტალში კი 3.6- პროცენტული ერთეულით გაიზარდა.

2021 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით სამუშაო ძალის მაჩვენებელი შესაბამისად 3.6-; 3.8-; და 2.5- პროცენტით გაიზარდა, მეოთხე კვარტალში კი 1.4 პროცენტიანი კლებით ხასიათდებოდა.

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ირკვევა, რომ, საქართველოში, სამუშაო ძალის პროცენტული წილი 2018 წელს - 19.25-; 2019 წელს - 17.6-; 2020 წელს - 18.5-; 2021 წელს კი - 20.6- პროცენტს შეადგენდა. რაც, იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მოცემულ პერიოდში აქტიური მოსახლეობის რაოდენობა მერყეობებით გამოირჩეოდა და იმის მიუხედავად, რომ 2021 წლის მონაცემები წინა წლის მონაცემებთან შედარებით მცირედით გაიზარდა, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ მიმართულებით ადგილი არ ჰქონია.

გრაფიკი 10: მუდმივ, 2015 წლის ფასებში შეფასებული მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიური დინამიკა (მლრდ. ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2010-2019 წლებში მუდმივ 2015 წლის ფასებში შეფასებული მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიური დინამიკა აღმავალი ტემპით, შესაბამისად, 26.6-; 28.6-; 30.4-; 31.5-; 32.9-; 34.9; 36.6-; 38.4- და 40.3-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის ფონზე, 2020 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტის ჰიპოთეტური ზარალი - 3.6 მლრდ ლარით განისაზღვრა, რომლის გათვალისწინებით, რეალური სამამულო პროდუქტი 41.2 მლნ ლარიდან 37.6 მლრდ ლარამდე შემცირდა.

რაც შეეხება 2021 წელს, აღნიშნულ პერიოდში რეალური სამამულო პროდუქტი ჰიპოთეტური ზარალის გათვალისწინებით, -1.2 მლრდ ლარს გაუტოლდა, რამაც რეალური სამამულო პროდუქტის 1.2 მლრდ დოლარით შემცირება განაპირობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წელს რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი 42.6 მლრდ ლარიდან 41.5 მლრდ ლარამდე შემცირდა.



გრაფიკი 11: ერთ სულზე მუდმივ 2015 წლის ფასებში მთლიანი სამამულო პროდუქტი წლიური დინამიკა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც გრაფიკიდან 11-დან ირკვევა, 2010-2019 წლებში მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიური დინამიკა ლარში ერთ სულზე მუდმივ 2015 წლის ფასებში გამოსახული აღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტი წლიურ ჭრილში 6.8 პროცენტით შემცირდა და 10 093.1 ლარს გაუტოლდა.

2021 წელს სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი ერთ სულზე 10.2-პროცენტიანი მატების ფონზე 11121.1 ლარს გაუტოლდა.

რაც შეეხება მთლიან სამამულო პროდუქტს აშშ დოლართან მიმართებით, მისი ოდენობა ერთ სულზე 2010-2013 წლებში აღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა და მისი ოდენობა 5099.8 აშშ დოლარით განისაზღვრა.

2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულზე 1100.2 აშშ დოლარით შემცირდა და 2017 წელს 3914.8 დოლარს გაუტოლდა. 2018

წელს მთლიანი სამამულო პროდუქტი 3.8 პროცენტით გაიზარდა და ერთ სულზე 4064.1 აშშ დოლარი შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ირკვევა, 2021 წელს 2020 წელთან შედარებით მუდმივ ფასებში მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული ცვლილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, საბაზრო ფასებში 10.4 - პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა.

პროდუქციაზე გაწეული სუბსიდიები 1.3-პროცენტიანი მატებით, პროდუქციაზე დაწესებული გადასახადები კი, 2.6 პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

რაც შეეხება ცალკეულ დარგებს, კერძოდ, ხელოვნება, გართობა და დასვენება 43.1 პროცენტით, წყალმომარაგება და დასუფთავება - 38.9 პროცენტით, ელექტროენერგიის და აირის მიწოდება - 33.5 პროცენტი, სასტუმროები და რესტორნები - 29.8 პროცენტით, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება - 28.7 პროცენტით, ტრანსპორტი და დასაწყობება, 27.6 პროცენტით, ინფორმაცია და კომუნიკაცია 23.9 პროცენტით, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 23.5 პროცენტით, ვაჭრობა და ავტორემონტი - 19.9 პროცენტით, სამთომოპოვებითი მრეწველობა - 13.5 პროცენტით, სხვა მომსახურება - 10.3 პროცენტით, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 9.8 პროცენტით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებზე - 9.2 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობა - 9 პროცენტით, ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობა - 5.6 პროცენტით, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა - 1.4 პროცენტით, განათლება - 2.3 პროცენტით, შინამეურნეობაში დაქირავება - 20.1 პროცენტით, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა - 0.9 პროცენტით შემცირდა, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 1.1 პროცენტით, განათლება - 2.3 პროცენტით, შინამეურნეობებში დაქირავება - 20.1 პროცენტით, მშენებლობა კი, 21.8-პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა.

გრაფიკი 13: იმპორტის ფასების ინდექსები 2023 წლის აპრილში (წინა წლის შესაბამისი თვე=100)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამსახური

2023 წლის აპრილში იმპორტის ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14 პროცენტითაა შემცირებული.

მსხვილი სასაქონლო ჯგუფებიდან სამთო მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები 15.4 პროცენტით შემცირდა. 14 პროცენტით შემცირდა ფასები დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერის პოზიცია, სადაც იმპორტის ფასები 88 პროცენტითაა შემცირებული.

დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციიდან აღსანიშნავია ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტების ჯგუფის პროდუქციის ფასების 37.1 პროცენტით შემცირება. პროდუქციის სხვა ჯგუფებისთვის ფასების კლება შედარებით ნაკლები იყო. მხოლოდ ოთხი სასაქონლო პოზიციაა, რომლებზეც 2023 წლის აპრილში იმპორტის ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა.

გრაფიკი 14: იმპორტის ფასების ინდექსები 2021 წლის დეკემბერში (წინა წლის შესაბამისი თვე=100)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2021 წლის დეკემბერში იმპორტის ფასების ინდექსი წყალმომარაგებისა და დასუფთავების სფეროში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6.3-პროცენტიან კლებას ავლენდა.

ელექტროენერგიისა და აირის ფასების ინდექსი 10.5-პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა.

კოქსის და რაფინირებული ნავთოპროდუქტების ფასების ინდექსი შთამბეჭდავი, 60-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

ძირითადი ლითონების ფასების ინდექსი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ერთობ მაღალ 43.7-პროცენტიან ზრდას ავლენდა.

რაც შეეხება მერქანს და მერქნის ნაწარმს, ორივე მათგანი ერთობ მაღალი, 26.3 პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

ასევე მაღალი ზრდის ტემპი - 25.2 პროცენტი, გამოიკვეთა რეზინისა და პლასმასის ნაკეთობების იმპორტში.

იმპორტის ფასების მაღალი 15.1-პროცენტიანი ზრდა შეინიშნებოდა, ქაღალდის და ქაღალდის პროდუქტების იმპორტის მატების კუთხით.

ტექსტილის იმპორტის ფასების ინდექსი 12.8-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

ძირითადი ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ფასების ინდექსი 11.3-პროცენტიანი ზრდით განისაზღვრა.

ასევე, კვების პროდუქტები, ლითონის მზა ნაწარმი და ელექტრომოწყობილობების საკმაოდ მაღალი, შესაბამისად, 9.1, 9 და 10.7 პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

ავეჯის, სხვა სამრეწველო საქონელის, ტყავი და ტყავის ნაწარმის, სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების, ტანსაცმელის, მანქანებისა და მოწყობილობების, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების, შესაბამისად, 8.3-; 8.3-; 7.5-; 6.6-; 6.2-; 6.1-პროცენტიან ზრდას ავლენდა.

ამასთან, თამბაქოს პროდუქტების, კომპიუტერული პროდუქციის და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების, იმპორტის ფასების ინდექსი შესაბამისად, უმნიშვნელო 1- და 0.1-პროცენტიან მატებას ავლენდა.

რაც შეეხება ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტებისა და სასმელების იმპორტის ფასების ინდექსი აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობი, შესაბამისად, 7.1 და 7.2 - პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სხვა პროდუქციის, ასევე ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ნახშირისა და ლიგნიტის, ასევე სამთომოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის, იმპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, ერთობ მაღალი 13.6-; 28.9-; 16.1-; 11.7- და 24.7-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

გრაფიკი 15; ექსპორტის ფასების ინდექსები 2021 წლის დეკემბერში (წინა წლის შესაბამისი თვე=100)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2021 წლის დეკამბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ექსპორტის ფასების ინდექსი ნულს გაუტოლდა.

ძირითადი ქიმიური ნივთიერებების ექსპორტის ფასების ინდექსი კი, შთამბეჭდავი 208.3-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა.

ძირითადი ლითონები, ლითონის მზა ნაწარმი, ტექსტილი, ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები, რეზინი და პლასმასის ნაკეთობები, მერქანი და მერქნის ნაწარმი ერთობ მაღალი, შესაბამისად, 65.6-; 35.6-; 32-; 29.6-; 24 და 21.3-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

რაც შეეხება სხვა სამრეწველო საქონელის და კვების პროდუქტების ექსპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, 3.5- და 2.6-პროცენტით გაიზარდა. ტყავის ნაწარმის ექსპორტის ფასების ინდექსი კი, ნულს გაუტოლდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასმელების, სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების, ტანსაცმელის, ავეჯის, ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, -1.5; -4; -4.4; -4.5; -10.4- და -28.2-პროცენტიანი კლებით გამოირჩეოდა.

დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციისა და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სხვა პროდუქციის ექსპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, 35.8- და 13.3-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

ლითონის მადნების, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების ექსპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, -24.2- და -23.4-პროცენტიან კლებას ავლენდა.

მთლიანობაში, 2021 წლის დეკემბერში, ექსპორტის ფასების ინდექსი 28.1 პროცენტით განისაზღვრა.

რაც შეეხება 2021 წელს 2020 წელთან შედარებით, მუდმივ ფასებში მსპ 10.4 - პროცენტიან ზრდაში შეტანილი წვლილის მიხედვით, სუბსიდიები პროდუქციაზე - 0.1 პროცენტით, პროდუქციაზე გადასახადები - 2.8 პროცენტით, ვაჭრობისა და ავტორემონტის წვლილი - 24.1 პროცენტით, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 13.3 პროცენტით, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება 12.1 პროცენტით, ტრანსპორტი და დასაწყობება -11.9 პროცენტით, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 11.8 პროცენტით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები -

10.3 პროცენტით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ზრდის წვლილი 7.7 პროცენტით განისაზღვრა.

რაც შეეხება დამამუშავებელი მრეწველობას, ეს უკანასკნელი - 7.2 პროცენტით, სასტუმროების და რესტორნების წილი კი 0.2-პროცენტით განისაზღვრა. ამასთან, ელექტოენერგიისა და აირის მიწოდება 6 პროცენტით, წყალმომარაგება და დასუფთავება 2.8 პროცენტით, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 2.2-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

სამთომოპოვებითი მრეწველობა 1.7 პროცენტით, სხვა მომსახურება 0.6-პროცენტიანი, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები კი, 0.4-პროცენტიანი წილით იყო წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შინამეურნეობებში დაქირავების, სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, ასევე განათლებისა და მშენებლობის წვლილი შესაბამისად, -0.2; -0.6; -1.1; -1.1-; -13 პროცენტით განისაზღვრა.



გრაფიკი 12: ექსპორტის ფასების ინდექსები 2023 წლის აპრილში (წინა წლის შესაბამისი თვე=100)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამსახური

მოცემული გრაფიკიდან ვადგენთ, რომ 2023 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ფასები 20.1 პროცენტით შემცირდა. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მსხვილი სასაქონლო ჯგუფებიდან სამთო მომპოვებელი პროდუქციის ფასები 23.8 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ფასები 18.8 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამსხვილებული ჯგუფებიდან ექსპორტის ფასები მხოლოდ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ჯგუფის პროდუქციაზე გაიზარდა.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ძირითადი ქიმიური ნივთიერებების და ქიმიური პროდუქტების ფასები 38.4 პროცენტით შემცირდა. დაახლოებით ასეთივე თანრიგის

იყო კოქსის, რაფინირებული ნავთობპროდუქტების და ავეჯის ფასების კლების ტენდენცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ დამამუშავებელი პროდუქციის ჯგუფში შემავალი პროდუქციის არცერთ ქვეჯგუფში 2023 წლის აპრილში ფასების ზრდა არ გამოვლენილა.

გრაფიკი 13: მთლიანი სამამულო პროდუქტი მუდმივ 2015 წლის ფასებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც ზემოთ მოტანილი გრაფიკიდან ირკვევა, მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულზე ლარში 2012 წელს 8163.2 ლარით განისაზღვრა, 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით კი (შესაბამისად, 3.9-; 4.4-; 2.9-; 2.8-; 4.8-; 7.2; 4.9-პროცენტიანი) მატებით გამოირჩეოდა და 8484.3; 8856.0; 9109.3; 9368.5; 9820.9; 10303.3; 10834.3; 10104.4; 11135.4 ლარი შეადგინა.

პანდემიური შოკის ფონზე, 2020 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულზე ლარში, შესაბამისად, 6.7 პროცენტით შემცირდა და 10104.4 ლარი შეადგინა. 2021 წელს კი - პირიქით, 10.2-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა და 11135.4 ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012-2022 წლებში მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულზე, შესაბამისად, 4943.8; 5097.5; 5011.3; 4003.5; 3967.1; 3922.4; 4064.0; 3840.9; 3251.2 და 3463.1 დოლარს შეადგენდა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულზე დოლარში 2013 წელს - 3.1 პროცენტით, 2018 წელს - 3.6 პროცენტით 2020 და 2021 წლებში კი - მცირედი, შესაბამისად, 0.8-პროცენტიანი და 1.1-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.



გრაფიკი 14: მთლიანი ექსპორტის ყოველთვიური დინამიკა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც გრაფიკი 14-დან ჩანს, 2019 წელს მთლიანი ექსპორტი 5 102 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, 24.9 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნების, 51.9 პროცენტი დსთ-ს ქვეყნების, 23.2 პროცენტი კი - დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა.

2019 წლის იანვარში ევროკავშირის ქვეყნებში მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 237 მლნ დოლარით განისაზღვრა. აღნიშნული თანხა ევროკავშირის ქვეყნებზე - 59

მლნ აშშ დოლარი, დსთ-ს ქვეყნებზე - 123 მლნ აშშ დოლარი, დანარჩენ ქვეყნებზე კი - 55 მლნ აშშ დოლარი გადანაწილდა.

2019 წლის თებერვალში ექსპორტი წინა თვესთან შედარებით 11.8-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა. მარტიდან დეკემბრის ჩათვლით კი, ზემოაღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრი, შესაბამისად, 37.6-; -4.6; 9.6; -9.1; 4.5; -2.4; -3.1; 4.6; 1.1- და 13.8-პროცენტიანი მერყეობებით გამოირჩეოდა.

2020 წლის იანვარში მთლიანი ექსპორტი 268 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და წლიურ გამოსახულებაში 13.1 პროცენტით გაიზრდა.

2020 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით ექსპორტის მაჩვენებელი, შესაბამისად, -1.9-; 5.3- და -10.8 - პროცენტიანი კლებით ხასიათდებოდა.

2020 წლის მაისიდან სექტემბრის ჩათვლით ექსპორტის ზრდის ტემპი აღმავალ დინამიკას გამოსახავდა. მისი მატება შესაბამისად, 5.4; 14.5; 2.6; 6.2; 13.4 პროცენტით განისაზღვრა.

2020 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში წინა წლის შესაბამის თვეებთან შედარებით, ექსპორტის მაჩვენებელმა შესაბამისად, 5.4- და 3.8- პროცენტიანი კლება განიცადა, დეკემბერში კი, აღნიშნული მაჩვენებელი ნოემბერთან შედარებით საგრძნობი 8.3-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

2020 წლის დეკემბერში წლიურ გამოსახულებაში ექსპორტის მაჩვენებელი 6.9 პროცენტით შემცირდა და 326 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. აქედან. 67 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 164 მლნ აშშ დოლარი დსთ-ს ქვეყნებზე, 95 მლნ აშშ დოლარი კი, დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილდა.

2021 წლის იანვარში მთლიანი ექსპორტის მაჩვენებლი 224 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, მისი 21.9 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 41.1 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 37 პროცენტი კი - დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა.

2021 წლის თებერვალში მთლიანმა ექსპორტმა 268 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა თვესთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა.

2021 წლის მარტში ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მკვეთრად -16.4 პროცენტით შემცირდა და 224 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თებერვლიდან აპრილის ჩათვლით ექსპორტი აღმავალი დინამიკით, შესაბამისად, მაღალი 19.6-; 21.6- და 16-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა.

2021 წლის მაისში ექსპორტის მოცულობა საგრძნობლად, 10.1 პროცენტით შემცირდა და 340 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

2021 წლის აგვისტოში ექსპორტის მაჩვენებელი 13.2 პროცენტით შემცირდა 355 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წლის სექტემბერში ექსპორტის მაჩვენებელი 11.6 პროცენტით გაიზარდა და 374 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ამდენად, საქართველოში 2019-2021 წლებში მთლიანი ექსპორტის ყოველთვიური დინამიკა ქვეყნების ჯგუფის მიხედვით, ცვალებადი დინამიკით გამოირჩეოდა.

2023 წლის აპრილში საქართველოდან 501 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია იყო ექსპორტირებული. გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით მთლიანი ექსპორტის მოცულობა 20.4 პროცენტით გაიზარდა.

2023 წლის აპრილში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 14 პროცენტით, დსთ-ს ქვეყნებში 106 პროცენტით გაიზარდა, დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტი კი, პირიქით, 49 პროცენტით შემცირდა.

ექსპორტის ზრდის 11 პროცენტი ევროკავშირში ექსპორტის ზრდის წვლილია, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის ზრდის წვლილი 198 პროცენტით განისაზღვრა. 109 პროცენტია დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტის კლების შემაფერხებელი წვლილი.

2023 წლის იანვარ-აპრილში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპი 24 პროცენტით განისაზღვრა, რაც 8 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2022 წლის ექსპორტის წლიური ზრდის ტემპს, როდესაც 2021 წელთან შედარებით ექსპორტი 32 პროცენტით გაიზარდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

ხაზგასასმელია ისიც, რომ 2023 წლის აპრილში საქართველოდან ექსპორტირებული 501 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის მხოლოდ 44 პროცენტი ადგილობრივი წარმოშობის იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის მოცულობა 32 პროცენტით არის შემცირებული, რაც დამაფიქრებელი ტენდენციის საწყისად შეიძლება იქცეს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ გასული წლის აპრილთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში; დსთ-ს ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 8 პროცენტით შემცირდა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის 56 პროცენტიანი კლება გამოვლინდა.

ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის კლება დანარჩენ ქვეყნებში თითქმის მთლიანად ექსპორტის 56-პროცენტიანმა ვარდნამ განაპირობა. ამ ცვლილების წვლილმა ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის მთლიანი ვარდნის 98 პროცენტი შეადგინა. 7 პროცენტით განსაზღვრა დსთ-ს ქვეყნებში ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის კლების წილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის ვარდნა 5 პროცენტით შეაფერხა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის 10 პროცენტით ზრდამ.

2023 წლის იანვარ-აპრილში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლების ტემპი 18 პროცენტით განისაზღვრა, რაც 36 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2022 წლის ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის წლიური ზრდის ტემპს, როდესაც 2021 წელთან შედარებით ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი 18 პროცენტით გაიზარდა.

გრაფიკი 16: ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის წლიური დინამიკა და სტრუქტურა (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2022 წელს საქართველოდან განხორციელებული 3 704 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტიდან 1 144 მილიონი აშშ დოლარი ანუ მთლიანი მოცულობის მხოლოდ 31 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებზე მოდიოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი სსრკ-ს

ბაზარი ქართული წარმოშობის ექსპორტისთვის არა ერთადერთ, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვან სეგმენტად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილი ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტში ტრადიციულად 38-39 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. როგორც გრაფიკიდან ირკვევა, 2022 წელი ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების დაბალი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა.

გრაფიკი 17: იმპორტის ყოველთვიური დინამიკა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკი 17-დან ირკვევა, 2019 წლის იანვარში ქვეყნების ჯგუფის მიხედვით, იმპორტის მაჩვენებელი იანვარში 621 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. აქედან, ევროკავშირის ქვეყნებზე მთლიანი იმპორტის 22.1 პროცენტი, დსთ-ს ქვეყნებზე - 27.4 პროცენტი, დანარჩენ ქვეყნებზე კი - 50.8 პროცენტი მოდიოდა.

2019 წლის თებერვალში იმპორტის მაჩვენებელმა 671 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, ევროკავშირის ქვეყნებზე მთლიანი იმპორტის 23.2 პროცენტი, დსთ-ს ქვეყნებზე - 30.2 პროცენტი, დანარჩენ ქვეყნებზე - 46.5 პროცენტი გადანაწილდა.

2019 წლის მარტში იმპორტის მაჩვენებელი 787 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, მისი 23.4 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 25.9 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 50.7 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილდა.

2019 წლის აპრილში იმპორტის მაჩვენებელი 779 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, მისი 24.3 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 25.4 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა, 50.3 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა.

2019 წლის მაისში იმპორტის მაჩვენებელმა 794 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი 24. 8 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე 22.4 პროცენტი, დსთ-ს ქვეყნებზე 52.9 პროცენტი, დანარჩენ ქვეყნებზე კი, 24.7 პროცენტი მოდიოდა.

2019 წლის ივნისში იმპორტის მაჩვენებელი 739 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მისი 25.7 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 22.5 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, დანაჩენ ქვეყნებზე კი - 51.9 პროცენტი მოდიოდა.

2019 წლის ივლისში იმპორტის მაჩვენებელი 812 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მისი 25.2 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნების წილად, 22.9 პროცენტი დსთ- სა და 51.7 პროცენტი დანაჩენ ქვეყნებზე - გადანაწილდა.

2019 წლის აგვისტოში იმპორტის მაჩვენებელმა 797 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნებზე მისი 24.7 პროცენტი, დსთ- ქვეყნებზე - 23.9 პროცენტი, დანარჩენ ქვეყნებზე კი - 51.4 პროცენტი მოდიოდა.

2019 წლის სექტემბერში იმპორტის მაჩვენებელი 804 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მისი 24.5 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებს, 25.8 პროცენტი დსთ-ქვეყნებს, 49.7 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა.

2019 წლის ოქტომბერში იმპორტის მაჩვენებელმა 924 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი 25 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 24.3 პროცენტი დსთ- ქვეყნებზე, 50.7 პროცენტი დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილდა.

2019 წლის ნოემბერში იმპორტის მაჩვენებელი 818 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან ევროკავშირის ქვეყნებზე 23.7 მლნ აშშ დოლარი, დსთ-ს ქვეყნებზე - 29.9 მლნ აშშ დოლარი, დანარჩენ ქვეყნებზე კი - 46.4 მლნ აშშ დოლარი მოდიოდა.

2019 წლის დეკემბერში იმპორტის მაჩვენებელი 973 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, მისი 23.3 პროცენტი ევროკავშირი ქვეყნებზე, 27.4 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 49.3 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა.

2020 წლის იანვარში იმპორტი 645 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, ევროკავშირის ქვეყნებზე მთლიანი იმპორტის 22.6 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 30.6 პროცენტი, 47.7 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილდა.

2020 წლის თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იმპორტის ზრდის ტემპი 9.3 პროცენტით განისაზღვრა. იმპორტის 21.6 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 30.5 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 48.8 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა.

2020 წლის მარტში იმპორტმა 671 აშშ დოლარი შეადგინა, რომლის 23.7 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებს, 32 პროცენტი - დსთ-ს ქვეყნებს, 44.3 პროცენტი კი დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა. 2020 წლის აპრილში იმპორტის მაჩვენებელი 478 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მისი 26.8 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებს, 33.3 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებს, 39.9 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს ერგო.

2020 წლის მაისში იმპორტის მაჩვენებელი 529 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მისი 20.9 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 31 პროცენტი - დსთ-ს ქვეყნებზე, 48 პროცენტი კი დანარჩენ ქვენებზე გადანაწილდა.

2020 წლის ივნისში წლიურ გამოსახულებაში იმპორტი მაღალი 15-პროცენტიანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. ამასთან, მისი 21.7 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 28.7 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 49.6 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა. 2020 წლის ივლისის თვეში იმპორტი 728 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მისი 23.2 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებით, 27.7 პროცენტი - დსთ-ს ქვეყნებით, დანარჩენი 49.1 პროცენტი კი, დანარჩენი ქვეყნებით იყო წარმოდგენილი.

2020 წლის აგვისტოში იმპორტის მაჩვენებელმა 665 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი 25.2 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 27.5 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 47.3 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა.

2020 წლის სექტემბერში იმპორტის მაჩვენებელი 750 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მისი 21.2 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 29.2 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 49.6 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილდა.

2020 წლის ოქტომბერში იმპორტის მაჩვენებელი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.8 პროცენტით შემცირდა და 729 მლნ აშშ დოლარს

გაუტოლდა. მისი 23.1 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებს, 30.5 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებს, 46.4 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა.

2020 წლის ნოემბერში საქართველოს იმპორტის მაჩვენებელი 721 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მისი 21.7 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 29.4 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 48.9 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა. 2020 წლის დეკემბერში საქართველოში იმპორტის ზრდა 14-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა და 822 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის 24.6 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე, 30.4 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 45 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე გადანაწილადა.

2021 წლის იანვარში ქვეყნის იმპორტის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ერთობ მაღალი 26.1-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა. იმპორტის 22.4 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებს, 29.6 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებს, 48 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებს მოიცავდა.

2021 წლის თებერვალში საქართველოს იმპორტის მაჩვენებელი წლიურ ჭრილში ერთობ მაღალი მატებით ხასიათდებოდა. იმპორტის 22.1 პროცენტი - ევროკავშირის ქვეყნებზე, 30.7 პროცენტი დსთ-ს ქვეყნებზე, 47.2 პროცენტი კი, დანარჩენ ქვეყნებზე მოდიოდა.

იმპორტის მოცულობა 2023 წლის აპრილის თვეში 1 091 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებს 10 პროცენტით აღემატება. იმპორტის მოცულობის ზრდის ტემპი ჩამორჩება მთლიანი ექსპორტის ზრდის ტემპს, რაც დადებითი ტენდენციაა, მაგრამ არსებითად აღემატება ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის ზრდის ტემპს, რაც დადებით ტენდენციად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

2023 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტი 16 პროცენტით, დანარჩენი ქვეყნებიდან 13 პროცენტით გაიზრდა, დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტი კი პირიქით, 1 პროცენტით შემცირდა.

იმპორტის ზრდის 38 პროცენტი ევროკავშირიდან იმპორტის ზრდის წვლილია. დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდამ მთლიან ზრდაში 64-პროცენტიანი წვლილი შეიტანა. დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტის კლების წვლილი 2 პროცენტით განისაზღვრა.

2023 წლის იანვარ-აპრილში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპი 21 პროცენტით განისაზღვრა, რაც 14 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2022 წლის იმპორტის წლიური ზრდის ტემპს, როდესაც 2021 წელთან შედარებით იმპორტი 35 პროცენტით გაიზარდა.

გრაფიკი 18: ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან იმპორტის წლიური დინამიკა და სტრუქტურა (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2022 წელს საქართველოში იმპორტირებული 13 592 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციიდან 3 825 მილიონი აშშ დოლარი ანუ მთლიანი იმპორტის 28 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებზე მოდიოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი სსრკ-ს ბაზარზე საქართველოს იმპორტდამოკიდებულება მნიშვნელოვანია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მთლიან იმპორტში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილი ერთობ მაღალი იყო გასული საუკუნის 90-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში.

ამასთან, 2011 წლიდან მოყოლებული მთლიან იმპორტში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილმა 30-პროცენტიანი ნიშნული მხოლოდ 2020 წელს გადალახა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2020 წელი ანტიპანდემიური შეზღუდვებით იყო

გამორჩეული და დიდი ალბათობით მთლიან იმპორტში ახლო სამეზობლოში მყოფი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილის ზრდაც ამ სპეციფიკით იყო განპირობებული.

გრაფიკი 19: ექსპორტის ფასების ინდექსის დინამიკა (წინა წლის შესაბამისი თვე=100)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2019 წლის იანვარის თვეში ექსპორტის ფასების ინდექსი უარყოფითი მაჩვენებლით -1.6 პროცენტით, გამოისახა. თებერვალსა და მარტში კი, აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად, 2- და 6.5-პროცენტიან მატებას ავლენდა.

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკი 8-დან ირკვევა, ექსპორტის ფასების დინამიკა 2019 წლის აპრილში ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით, 0.5 პროცენტული პუნქტით, მაისის თვეში კი, 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 4.4-პროცენტით განისაზღვრა.

2019 წლის ივნისსა და ივლისში ექსპორტის ფასების ინდექსი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 8- და 16 -პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

2020 წლის აგვისტოს თვეში ექსპორტის ფასების ინდექსი, წლიურ გამოსახულებიში საგრძნობლად - 7.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.7 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წლის სექტემბერის თვეში ექსპორტის ფასების ინდექსი 8.1 პროცენტით განისაზღვრა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად - 5.6 პროცენტული პუნქტით კლება გამოავლინა.

2019 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით, ექსპორტის ფასების ინდექსი შესამჩნევად 4.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ - 0.2 პროცენტული პუნქტით, დეკემბერში კი, - 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

2020 წლის იანვარში ექსპორტის ფასების ინდექსი 11.7 პროცენტით განისაზღვრა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესამჩნევი 13.3-პროცენტიანი კლება განიცადა.

2020 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, ექსპორტის ფასების ინდექსი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 10.5; 12.8; 15.7; პროცენტით იზრდებოდა.

მაისის თვეში კი, ექსპორტის ფასების ინდექსის მაჩვენებელმა 19.9-პროცენტიანი მატების ფონზე პიკს მიაღწია. ამასთან, ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით ექსპორტის ფასების ინდექსი დაღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა და ივნისში, ივლისსა და აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ფასების ინდექსი შესაბამისად, 6.4; 5.1 და 7.2; პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ამასთან, 2020 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ექსპორტის ფასების ინდექსი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.1 პროცენტს გაუტოლდა. სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ექსპორტის ფასების ინდექსი აღმავალ დინამიკას ავლენდა და მისი ზრდის ტემპი წლიურ გამოსახულებაში შესაბამისად, 8.1-; 11.4-; 12.2- და 13.5-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა.

2021 წლის იანვარსა და თებერვალში ექსპორტის ფასების ინდექსი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 4 და 5.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა. მარტში წლიურ გამოსახულებაში, ექსპორტის ფასების ინდექსი მცირედი - 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.3 პროცენტით განისაზღვრა.

2021 წლის აპრილსა და მაისში ექსპორტის ფასების ინდექსი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, მცირედ 0.5- და 0.6-პროცენტიან მატებას ავლენდა.

2021 წლის ივნისსა და ივლისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ფასების ინდექსი საგრძნობლად - შესაბამისად, 5.3 და 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10 პროცენტით განისაზღვრა.

2021 წლის აგვისტოში წლიურ გამოსახულებაში ექსპორტის ფასების ინდექსი მნიშვნელოვნად, 6.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 13.7 პროცენტს გაუტოლდა,

2021 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ფასების ინდექსი, უმნიშვნელოდ - 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 13.7 პროცენტს გაუტოლდა.

ოქტომბერსა და ნოემბერში ექსპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, 21.6 და 19.2 პროცენტით განისაზღვრა. დეკემბერში კი, იმპორტის ფასების ინდექსი - 14.4 პროცენტს გაუტოლდა.

2022 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმპორტის ფასების ინდექსი, მნიშვნელოვნად - 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10.1 პროცენტი შეადგინა. თებერვალში კი, იმპორტის ფასების ინდექსი, წლიურ ჭრილში შთამბეჭდავი 44.8-პროცენტიანი ვარდნით გამოირჩეოდა.

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკი 20-დან ირკვევა, იმპორტის ფასების ინდექსი, 2019 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით აღმავალი დინამიკით, შესაბამისად, 1.6-; 4.1-; 5.6-; 8-; 9.2-; 11.7 და 15.5-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა.

2019 წლის აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში კი, იმპორტის ფასების ინდექსი, პირიქით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 13.6-; 11.7-; 9.8-; და 8.4-პროცენტიან კლებას ავლენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დეკემბრის თვეში, იმპორტის ფასების ინდექსი 8.6 პროცენტს გაუტოლდა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ 2023 წლის იანვარ-აპრილის პერიოდი ექსპორტის ფასების შემცირებით გამოირჩევა.

ჩვენი აზრით, სავარაუდოდ ფასების კლება ექსპორტის მოცულობის ზრდის შედარებით დაბალი ტემპის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ანუ ექსპორტის ფიზიკური მოცულობა შეიძლება არსებითად გაიზარდა, თუმცა ფასების კლების გამო, ფინანსურ განზომილებაში ზრდის ტემპი შედარებით დაბალია.

ამასთან, ექსპორტის ფასების კლება, რომელიც 2022 წლის ოქტომბრიდან დაწყო 2023 წლის აპრილამდე გაგრძელდა.

გრაფიკი 20: იმპორტის ფასების ინდექსის დინამიკა (წინა წლის შესაბამისი თვე=100)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

2020 წელს, იმპორტის ფასების ინდექსი, ცვალებადი დინამიკით გამოირჩეოდა. იანვარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 7.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.1 პროცენტს გაუტოლდა.

თებერვლში კი, წლიურ გამოსახულებაში აღნიშნული მაჩვენებელი 3.2-პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.3 პროცენტით განისაზღვრა.

მარტში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.4-პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11 პროცენტი შეადგინა.

აპრილის თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 1.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.5 პროცენტს მიაღწია.

მაისიდან ივლისის ჩათვლით იმპორტის ფასების ინდექსმა წლიურ გამოსახულებაში შესაბამისად, 3.8; 9.3 და 13.6 პროცენტული პუნქტით იკლო და შესაბამისად, 2.4; 1.9 და 2.3 პროცენტით განისაზღვრა.

აგვისტოს თვეში იმპორტის ფასების ინდექსი შთამბეჭდავად 11.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2.3 პროცენტს გაუტოლდა.

სექტემბერსა და ოქტომბერში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაბალი ტემპებით, შესაბამისად, 2.3 და 3.4 პროცენტით გამოირჩეოდა.

ნოემბერსა და დეკემბერში კი, აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 7.3 და 13.5-პროცენტიან მატებას ავლენდა.

2021 წლის იანვარსა და თებერვალში იმპორტის ფასების ინდექსი წლიურ ჭრილში ერთობ მაღალი, შესაბამისად, 16.1- და 19.4-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

მარტში და აპრილში კი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იმპორტის ფასების ინდექსი, შესაბამისად, 7.9 და 12.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

იმპორტის ფასების ინდექსის მაჩვენებელმა პიკს 2021 წლის მაისში მიაღწია და 27.2 პროცენტით განისაზღვრა.

ივნისის თვეში კი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, იმპორტის ფასების ინდექსი შთამბეჭდავად, 24 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 26.4 პროცენტს გაუტოლდა.

2021 წლის ივლისში იმპორტის ფასის ინდექსი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9-პროცენტიანი ზრდით გამოირჩეოდა.

აგვისტოს თვეში აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 20.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 20.8 პროცენტს გაუტოლდა.

2021 წლის აგვისტოში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმპორტის ფასის ინდექსი, 26.4 პროცენტით განისაზღვრა და წლიურ გამოსახულებაში პროცენტული პუნქტით შემცირდა და 26.4 პროცენტით განისაზღვრა.

2021 წლის სექტემბერში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 16.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 20 პროცენტს გაუტოლდა.

2021 წლის ოქტომბერში იმპორტის ფასების ინდექსი წლიურ გამოსახულებაში ერთობ მაღალი, 21.6-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა.

2021 წლის იმპორტის ფასების ინდექსი ნოემბერში მნიშვნელოვნად - 19.2 პროცენტით შემცირდა.

დეკემბერში კი, აღნიშნულმა მაჩვენებელმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მცირედი - 0.9 პროცენტული პუნქტით, კლება განიცადა.

2022 წლის იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმპორტის ფასების ინდექსი 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.1 პროცენტი შეადგინა.

2022 წლის თებერვალში წლიურ გამოსახულებაში კი, იმპორტის ფასების ინდექსმა მნიშვნელოვანი 8.7 პროცენტული პუნქტით ვარდნა განიცადა და 10.7 პროცენტს გაუტოლდა.

2023 წლის იანვარ-აპრილის პერიოდი იმპორტის ფასების შემცირებით გამოირჩევა. ფასების კლება იმპორტის მოცულობის ზრდის ტემპის კლების ერთ-ერთი მიზეზია, როგორც ეს ექსპორტის შემთხვევაში იყო.

ექსპორტის ფასების კლება 2022 წლის ოქტომბრიდან დაწყო, თუმცა 2023 წლის მარტსა და აპრილში კლების ტემპი წინა თვეებთან შედარებით, არსებითად უფრო მაღალია.



გრაფიკი 21: ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში მთლიანი ექსპორტის წლიური დინამიკა და სტრუქტურა (მილიონი აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც ზემოთ მოტანილი გრაფიკიდან ირკვევა, მთლიან ექსპორტში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილი ერთობ მაღალი იყო 90-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში.

2007-2009 წლებში ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 40-პროცენტიან ნიშნულზე დაბლა ჩამოვიდა, რაც ამ პერიოდში რუსეთის ფედერაციასთან გართულებული ურთიერთობებით იყო განპირობებული.

2014-2021 წლებში ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის - სსრკ-ს, ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი ძირითადად აღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა.

2014 წელს ყოფილი სსრკ-ს მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 1816 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. აღნიშნულ პერიოდში მისი 44.9 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტით, 55.1 პროცენტი კი, დანარჩენი ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტით იყო წარმოდგენილი.

2015 წელს ზემოაღნიშნული ქვეყნების ჯგუფის ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის მაჩვენებელი 11.7 პროცენტით შემცირდა და 1603 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ექსპორტის 31.4 პროცენტი ყოფილი სსრკ -ს ქვეყნების ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტით, 68.6 პროცენტი კი, დანარჩენ ადგილობრივ წარმოშობის ექსპორტზე მოდიოდა.

2016 წელს ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი უმნიშვნელოდ - 1.1 პროცენტით გაიზარდა და 1620 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 28 პროცენტი ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წილად, 72 პროცენტი კი, დანარჩენ ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტზე გადანაწილდა.

2017 წელს მთლიანი ექსპორტის ზრდის ტემპი, შესაბამისად, ერთობ მაღალი 24-პროცენტიანი მატებით გამოირჩეოდა. აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი 2008 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

ამასთან, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლის 34.9 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტით, 65.1 პროცენტი კი, დანარჩენი ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტით იყო წარმოდგენილი.

2018 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის მატება 10.9-პროცენტიანი ზრდით გამოისახა. მისი 37.2 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტზე, 62.8 პროცენტი კი - დანარჩენი ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტზე მოდიოდა.

2019 წელს წინა წელთან შედარებით ყოფილი სსრკ-ს მთლიანი ქვეყნების ექსპორტის ზრდის ტემპი 4.4-პროცენტიანი მატებით ხასიათდებოდა. ყოფილი სსრკ-ს ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტზე 38.7 პროცენტი, 61.3 პროცენტი კი, დანარჩენ ადგილობრივ წარმოშობის ექსპორტზე ნაწილდებოდა.

პანდემიის ფონზე, 2020 წელს წლიურ გამოსახულებაში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების მთლიანი ექსპორტის შთამბეჭდავი 32.7-პროცენტიანი კლება გამოვლინდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი სსრკ-ს ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტზე - 35 პროცენტი, დანარჩენ ადგილობრივ წარმოშობის ექსპორტზე კი - 65 პროცენტი გადანაწილდა.

2021 წელს ყოფილი სსრკ-ს ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტმა 1178 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით შთამბეჭდავად, თითქმის 40-პროცენტიანი მატება განიცადა.

ამასთან, ყურადსაღებია ისიც, რომ ყოფილ სსრკ-ს ქვეყნებში ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 37.3 პროცენტს იკავებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წელს საქართველოდან განხორციელებული 5 593 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტიდან 2 751 მილიონი აშშ დოლარი ანუ მთლიანი ექსპორტის 49 პროცენტი ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებზე მოდიოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი სსრკ-ს ბაზარი ქართული ექსპორტისთვის ერთ-ერთი უმთავრესია.

მთლიან ექსპორტში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილი ერთობ მაღალი იყო გასული საუკუნის 90-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში.

2007-2009 წლებში ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 40-პროცენტიან ნიშნულზე დაბლა ჩამოვიდა, რაც ამ პერიოდში რუსეთის ფედერაციასთან გართულებული ურთიერთობებით იყო განპირობებული.

ამასთან, 2018-2022 წლებში ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში თითქმის 50 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა.



გრაფიკი 22: იმპორტის, მთლიანი და ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის ყოველთვიური დინამიკა (მილიონი აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გაანგარიშებები

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2019 წელს იმპორტის დინამიკა მკვეთრი ცვლილებებით გამოირჩეოდა. იანვარში, თებერვალსა და მარტში იმპორტი მაჩვენებელი აღმავალი დინამიკით ხასიათდებოდა და შესაბამისად, 621; 671 და 787 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აპრილის, მაისსა და ივნისის თვეში მთლიანი იმპორტი ცვალებადი დინამიკით გამოირჩეოდა და შესაბამისად, 799, 794 და 739 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში მთლიანი იმპორტი მცირედ მერყეობას ავლენდა და შესაბამისად, 812; 797 და 804 აშშ დოლარით განისაზღვრა.

ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში მთლიანი იმპორტი მეტნაკლები მერყეობით ხასიათდებოდა და შესაბამისად, 923; 818 და 973 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2020 წლიდან მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი მკვეთრი მერყეობებით ხასიათდებოდა. კერძოდ, იანვრის თვეში აღნიშნული მაჩვენებელი შთამბეჭდავი, 66.3-პროცენტიანი კლებით ხასიათდებოდა.

თებერვალში წინა თვესთან შედარებით, პირიქით, მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი 9.1 პროცენტით გაიზარდა და 704 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მარტის თვეში მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი 7.4 პროცენტით შემცირდა და 652

მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

აპრილში მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა და 478 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მაისში, ივნისსა და ივლისში მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი შესაბამისად, აღმავალი დინამიკით გამოირჩეოდა და შესაბამისად, 529; 608 და 727 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

აგვისტოს თვეში მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი კლებით ხასიათდებოდა და 665 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სექტემბერში იმპორტის მაჩვენებელი აღმავალი ტემპით გამოირჩეოდა და 750 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

იმპორტის წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში შესაბამისად, 28; 28 და 29 პროცენტით განისაზღვრა.

ოქტომბერსა და ნოემბრის თვეში იმპორტის დინამიკა დაღმავალი ტემპებით გამოირჩეოდა და შესაბამისად, 729 და 720 აშშ დოლარით განისაზღვრა.

დეკემბრის თვეში იმპორტის დინამიკა აღმავალი ტემპით გამოირჩეოდა და 803 აშშ დილარით განისაზღვრა.

2021 წლის იანავარში, თებერვალსა და მარტში იმპორტის დინამიკა აღმავალი ტემპით გამოირჩეოდა და შესაბამისად, 562; 648 და 775 მლნ აშშ დოლარის გაუტოლდა.

აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეში იმპორტის დინამიკა კვლავ მზარდ დინამიკას ავლენდა და შესაბამისად, 756; 770; 864 და 883 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

აგვისტოს თვეში იმპორტის მაჩვენებელმა 868 მლნ აშშ დოლარი შეადგინა თუმცა, წინა თვესთან შედარებით, 1.7-პროცენტიანი კლება განიცადა.

სექტემბერში იმპორტის მაჩვენებელი 958 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა და წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.4 პროცენტით აღემატებოდა.

ოქტომბერში იმპორტის მაჩვენებელმა 936 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მცირედი 2.3-პროცენტიანი კლება გამოავლინა.

ნოემბერისა და დეკემბის თვეში იმპორტის მაჩვენებელი 1033 და 1050 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

2023 წლის აპრილში მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 31 პროცენტი ექსპორტის წილად მოდიოდა. ეს პროპორცია დაახლოებით მსგავსია 2019-2023 წლის თვეების მიხედვით. ამასთან, ერთობ საყურადღებო და დამაფიქრებელია მთლიანი ექსპორტიდან ადგილობრივი წარმოშობის ექსპორტის წილის მაჩვენებელის კლების ტენდენცია, რომელიც პრაქტიკულად შეუქცევადია 2022 წლის აპრილის შემდეგ.

დიდი ალბათობით ზემოაღნიშნული კლების ეს ტენდენცია ფეროშენადნობების ექსპორტის მკვეთრი კლებით არის განპირობებული, რაც, მთლიანობაში, არცთუ სახარბიელო ტენდენციაა.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ სავაჭრო სალდო როგორც განხილულ, ისე წინა პერიოდში უარყოფითია. მართალია ექსპორტის ზრდის ტემპი უმნიშვნელოდ აღემატება იმპორტის ზრდის ტემპს, თუმცა, სხვა თანაბარ პირობებში სავაჭრო სალდოს მკვეთრი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

თავი III. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება

3.1 ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზების დაჩქარების აუცილებლობა

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება შეუძლებელია ეკონომიკის მოდერნიზების გარეშე, რაც ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მის ხელთ არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებთან ერთად, განვითარების თანამედროვე პარადიგმების მხედველობაში მიღებას, საქონლისა და და მომსახურების წარმოების სფეროში ინოვაციური მიდგომების შემუშავებას და დანერგვას, ასევე ხელისუფლების განსაკარგავი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას ისახავს მიზნად(Papava, 2008).

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება მიიჩნევა. აღნიშნული დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში განათლების დონისა და ხარისხის ამაღლებაზე, ვაჭრობის დივერსიფიცირებაზე, ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და გაფართოებაზე, ასევე, ქვეყნის ფინანსების დეცენტრალიზაციის მიმართულებით ეფექტიანი მექანიზმების შერჩევაზე (Jacknis, 2011). რაც, საბოლოოდ, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების წინაპირობად წარმოგვიდგება და თავის მხრივ, წარმოებაში ინოვაციების დასანერგად ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზებას, მეტწილად, სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების სხვადასხვა კომბინაციების ოპტიმალური შეთანაწყობა უზრუნველყოფს. მასში, თავის მხრივ, სახელმწიფოს სხვადასხვა დონის ხელისუფალთა მიერ მაღალი რისკის შემცველი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაც მოიაზრება.

ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზებაში წარმოების ტრადიციულ ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ცოდნასა და ახალი ტექნოლოგიების დანარგვას ენიჭება. ზემოაღნიშნულის გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ მასში, თავის მხრივ, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ხაზგასასმელია, რომ მკვლევართა უმეტესობა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს მეტწილად კომპანიების მიღწევად, სახელმწიფოს კი,

როგორც მარეგულირებელ და მაკონტროლებელ ორგანოს, დამაბრკოლებელ რგოლად წარმოაჩენს.

თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას გარკვეულწილად სახელმწიფოს მიერ მაღალი რისკის შემცველი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება აქარწყლებს, რამაც ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ჩაუყარა საფუძველი (Cusick, 2013).

აღნიშნული, აგრეთვე, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში მსგავსი დაფინანსების პირობებში შექმნილი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებით დასტურდება, რომელშიც სახელმწიფო გვევლინება მხარედ, რომელიც მზადაა განახორციელოს სოლიდური მასშტაბის ინვესტიცია, რომელიც თავის მხრივ, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნით, დანერგვით, გავრცელებითა და ათვისებით საწყის ეტაპზე ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას და პროდუქტიულობის დონის შემცირებას იწვევს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი - ეკონომიკური ზრდის აღმავალი ტემპით განვითარებას უზრუნველყოფს (Klimova, 2020).

ამდენად, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების გამო, ტექნოლოგიური ინოვაცია ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელი ძალად მოიაზრება.

როგორც წესი, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება და ათვისება ინტეგრაციისა და რესტრუქტურიზაციის პრობლემებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდის ტემპებსა და პროდუქტიულობის დონეს ამცირებს, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში პროდუქტიულობის დონის გაუმჯობესებას იწვევს (Ashford, & Hall, 2018). ამასთან, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ინოვაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულებას კრიტიკულად აფასებს. თავის მხრივ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებას ხშირად კერძო კომპანიების მიღწევად მიიჩნევს. სახელმწიფოს კი, როგორც მარეგულირებელ და მაკონტროლებელ ორგანოს შემაფერხებელ რგოლად მოიაზრებს. თანამედროვე ეპოქაში ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინოვაციური იდეების წარმოქმნის წყაროდ როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევები შეიძლება იქნეს მიჩნეული (Capello & Lenzi, 2013).

ზემოაღნიშნული მიდგომა, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონული და თვითმმართველობის ერთეულების ხელისუფლების მიერ შემუშავებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და მათ

განხორციელებას საჭიროებს. ამდენად, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითად ბირთვად ცოდნის ეკონომიკა, განვითარების მთავარ ფაქტორად კი, ადამიანური კაპიტალი, ასევე ახალი ცოდნის ფორმირება, ათვისება და გამოყენება მიიჩნევა (Zubiashvili & Silagadze, 2016).

ამასთან, როგორც კომპანიის, ისე მთლიანობაში ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები მნიშვნელოვნად როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დაგროვილი ცოდნის ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული (Scholten & Scholten, 2011).

ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში არსებითი მნიშვნელობა ინსტიტუციური კომპონენტის ფორმირებას ენიჭება, (Rosenbusch et al., 2018) რომელიც შესაძლოა თითოეული ქვეყნისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევების მასშტაბით, წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების დონით, ასევე საწარმოო პროცესების ურთიერთშესაბამისობის თვალსაზრისით, ინდივიდუალური იყოს. ამავდროულად, როგორც ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება, ისე ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება დროში გახანგრძლივებული პროცესია, რომელიც ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვას, განათლების სისტემის სრულყოფას, მეცნიერებისა და ინფორმაციული სისტემების განვითარებას მოითხოვს, რაც ინოვაციური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს (Flickenschild et al., 2021).

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციების დანერგვა მნიშვნელოვანია როგორც ტრანსფორმაციული, ისე განვითარებული ქვეყნებისთვის.

განვითარებად ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ნაწილობრივ ინოვაციის შემოტანითა და დანერგვით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით უზრუნველყოფენ, რომელსაც ტექნოლოგიის იმპორტი ახლავს თან.

ეკონომიკის ინოვაციური განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის რთულ სისტემად წარმოგვიდგება, რამდენადაც მისი განხორციელება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ხორციელდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიდგომის შესაბამისად, ინოვაციური სისტემის მიზნები ეროვნულ დონეზე სამი ძირითადი კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირდება. სახელდობრ: ინოვაციური სისტემის განვითარების პოტენციალად (Creative Capacity), რომელიც ცოდნის შექმნასა და განვითარებას ემსახურება; ცოდნის გადაცემის უნარად (Transfer Capacity), რომელიც ცოდნის გაზიარებასა და ინოვაციურ პროცესებში აქტიურ ჩართვას გულისხმობს; კომპანიის უნარად (The absorptive capacity), რომელიც კომპანიაში არსებული რესურსებით უახალესი ცოდნის ათვისებასა და დანერგვას მოიაზრებს (Baporikar, 2017).

ამავდროულად, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო კონკურენცია ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. თუმცა, ინოვაციური ეკონომიკის განვითარება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირების ოპტიმალური მექანიზმების შერჩევის და შეთანაწყობის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს (Shusharnyk & Misko, 2020).

როგორც ცნობილია, საბაზრო მექანიზმების პრინციპებზე დაყრდნობით, მხოლოდ სახელმწიფოს შესწევს უნარი გონივრული სტრატეგიის შემუშავებით დააჩქაროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლა.

თავის მხრივ, ინოვაციური ეკონომიკური პროცესის გააქტიურება ამავდროულად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მხრიდან რეგიონულ დონეზე ინოვაციური სისტემის ფორმირებაზე, სრულყოფასა და განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, ინოვაციების დანერგვასა და ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს.

რეგიონული ინოვაციური სისტემის თავისებურება იმაში ვლინდება, რომ მასში მთავარი აქცენტი ეკონომიკის თვისებრივ გარდაქმნასა და სრულყოფაზეა გამახვილებული. ვინაიდან, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფო ინსტიტუტების სრულყოფას, ქმედითუნარიანობას, ასევე ეფექტიანი და მოქნილი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

3.2. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები

სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ შემუშავებული ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგია თვისობრივად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე წამოჭრილ გამოწვევებთან უნდა იყოს დაკავშირებული და მორგებული.

საგულისხმოა ისიც, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება: ქვეყანაში, როგორც სრულყოფილი და ოპტიმალური საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას, ისე მისი მარეგულირებელი ინსტრუმენტების შერჩევას; ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებას; კერძო კომპანიების კომერციალიზაციის ხელშეწყობას (Danelia, 2021).

ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასა და რეგულირებაში არსებით როლს ეკონომიკის ეფექტიანი მართვის საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეგულაციების შემუშავება, ასევე ოპტიმალური ინსტრუმენტების შერჩევა და წარმოებისა და მომსახურების სფეროში ინოვაციების დანერგვა ასრულებს.

ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების კომპონენტად და მთავარ ინდიკატორად მოიაზრება. ამავდროულად, საბაზრო ურთიერთობების დარეგულირებაში, დიდი წვლილი, ასევე ეფექტიანი და შემოსავლიანი ინოვაციური პროექტების შერჩევას და დანერგვას შეაქვს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაედო სათავე.

სახელდობრ, მასში მოიაზრება - საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“, საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“ და საქართველოს საპატენტო კანონი, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა განათლების სფეროს საკანონმდებლო ბაზის ფორმირება. მას ასევე განეკუთვნება: საქართველოს კანონი - „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი, „ზოგადი განათლების“ შესახებ და კანონი „პროფესიული განათლების“ შესახებ.

როგორც წესი, ზემოაღნიშნულ აქტივობებს, როგორც სამეცნიერო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის - კერძოდ, „ინოვაციების“ შესახებ კანონის სრულყოფა, კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნა, ასევე ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული აქტივობების და ინოვაციების ეკოსისტემის ხელშემწყობი ინსტიტუციური ორგანოების ფორმირება სდევდა თან. ამდენად, ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების ძირითად პირობად ქვეყნისთვის

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფოს რეგულირების საკანონმდებლო მექანიზმი გვევლინება.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ინოვაციური ეკონომიკის სრულყოფა-განვითარება სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ იქცა. აღნიშნული, ინოვაციების სამართლებრივი ბაზის სრულყოფით, ასევე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მზარდი მასშტაბებითა და ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარებით დასტურდება.

აღნიშნული, თავის მხრივ, მთელი ინოვაციური ციკლის, კერძოდ: „მეცნიერება-გამოგონება-წარმოება“ უწყვეტ პროცესს უზრუნველყოფს, რომელშიც ინოვაციების მთავარ სუბიექტად - ბაზარი, გვევლინება. სახელმწიფო, კი, მარეგულირებელი ინტრუმენტებისა და საკანონმდებლო ნორმების შემმუშავებელ და მააკორდინებელ ინსტიტუციად წარმოგვიდგება, რაც ინოვაციური ციკლის „მეცნიერება-გამოგონება-წარმოების“ უწყვეტობას უზრუნველყოფს.

აღწერილ პროცესში გადამწყვეტ როლს ბაზარი ასრულებს, სახელმწიფო კი - პროცესების მარეგულირებელ სუბიექტად გვევლინება. ინოვაციების დანერგვის საქმეში არსებითი მნიშვნელობა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებას ენიჭება, რომელიც თავის მხრივ, კვლევით ინსტიტუტებზე დაყრდნობით, ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას და ღირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელებას უზრუნველყოფს.

განსაკუთრებული ყურადღება, ასევე, კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და უნივერიტეტების მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევების და პროექტების, ასევე კვლევასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების (R&D), სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო პროგრამის სუბსიდირებით დაფინანსების მზარდ დინამიკას ეთმობა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ფართო სპექტრის გამოყენებით, განათლების სფეროს დასაფინანსებლად ფინანსური სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმების შექმნას, სამეცნიერო კადრების კომპეტენციის და ცოდნის დონის ასამაღლებლად ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზების დაფინანსებას, ასევე სახელმწიფოს ხელთ არსებული ფაქტორების მობილიზებით უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების ათვისებას, მათ როგორც წარმოების, ისე მომსახურების სფეროში დანერგვას ენიჭება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინოვაციების შემოღებასა და დანერგვაში, ამ მხრივ, მთავარი მისია სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ეკისრება, რომლის ძირითადი ფუნქციაა გააღრმავოს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განავითაროს ინოვაციაზე და ეკონომიკაზე დაფუძნებული ცოდნა, ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნოლოგიების ტრანსფერსა და კვლევის კომერციალიზაციას.

ტექნოპარკი ერთ სივრცეში აერთიანებს საგანმანათლებლო, პროფესიულ და ტექნოლოგიურ რესურსებს, ასევე ინკუბატორებს, ლაბორატორიებს, ტექნოპარკებს, რეკრეაციულ და სასწავლო სივრცეებს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. ტექნოლოგიური პარკი მიზნად ისახავს ქვეყნებს შესთავაზოს მათი ეკონომიკის თავისებურებებზე მორგებული, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების მოდელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სამეცნიერო კვლევების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შეაქვს, რომელიც 2010 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შესაძლებლობების გაფართოებას, მისი მასშტაბების ზრდასა და განვითარებას, ასევე საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ინტეგრაციის ხელშეწყობას ემსახურება.

სახელმწიფოს აქტიური ჩართვის პარალელურად, როგორც წესი, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების, ასევე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ერთობ მნიშვნელოვანია კერძო კომპანიების მონაწილეობა, რაც, თავის მხრივ, როგორც კაპიტალის, ისევე ინფრასტრუქტურული პროექტების შექმნასა და სუბსიდირების დაფინანსებაში ჰპოვებს ასახვას (Ciumas et al., 2012). აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ეპოქაში ტექნოლოგიურ ცოდნაზე დაყრდნობით, გადამწყვეტი მნიშვნელობა კომპანიებში ინოვაციების დანერგვასა და პროდუქტიულობის ამაღლებას ენიჭება. აღნიშნულის გარდა, კომპანიები სახელმწიფოს ჩართულობის გარეშეც, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, ინვესტიციების განთავსებას კვლევისა და განვითარების მიმართულებით ახდენენ. აღნიშნული, თავის მხრივ, ქვეყანაში როგორც ინოვაციების, ისე კონკრეტული

ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების სიცოცხლისუნარიან პროდუქტად გარდაქმნას უზრუნველყოფს (Hooli, 2021).

როგორც წესი, კომერციალიზაციაში კვლევის პროცესში შექმნილი ტექნოლოგიის საბაზრო პროდუქტად გარდაქმნა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ლიცენზიისა და ნებართვების მიღება მოიაზრება, რასაც საბოლოოდ, საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

ზემოაღნიშნული, ამავდროულად, სახელმწიფოს მხრიდან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფასა და მისი აღსრულების ეფექტიანი სისტემის შექმნაში ჰპოვებს ასახვას.

კვლევასა და განვითარებაზე მიმართული ინვესტიციები საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კერძო სექტორში ცოდნის გადაცემას და კომერციალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ვინაიდან ზემოაღნიშნული პროცესი, როგორც ინოვაციის, ისე ახალი პროდუქტის ან მომსახურების კომერციალიზაციას უზრუნველყოფს (Shakir et al., 2018).

აღსანიშნავია ისიც, რომ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს ხელთ არსებული ინსტრუმენტები სახელმწიფო პოლიტიკის სისტემატიზირებაში ერთიანდება. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, იმ პარადიგმას ეფუძნება, რომელშიც ინოვაციური პროცესი სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტად მოიაზრება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტებად მეწარმეობა და ტექნიკური მომსახურება, ასევე ტრენინგები და კომერციალიზაციის მხარდაჭერა გვევლინება (Kim & Chung, 2017). ამავდროულად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთობა კლასტერების შექმნას, ურთიერთთანამშრომლობას და ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტების გამოკვეთასა და განსაზღვრას ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ჭრილში, ინოვაციების დანერგვის პროცესი კომპლექსურ სისტემად წარმოგვიდგება, რომელსაც მთავრობა კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს (Park, 2017).

ინოვაციის შექმნის პროცესში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთკავშირს მნიშვნელოვანწილად, ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტები,

კერძოდ კი, კლასტერების შექმნა, ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთმხარდაჭერა და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა განაპირობებს (Seema & Kibuuka, 2017).

როგორც წესი, ინოვაციის მიწოდების განმსაზღვრელ ინსტრუმენტად კვლევა და განვითარება გვევლინება (Veugelers et al., 2015). ინოვაციის მოთხოვნის განმსაზღვრელ ფაქტორებად კი, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, კომერციული შესყიდვები და ინოვაციების სტიმულირება მოიაზრება.

ამავდროულად, თავის მხრივ, აუცილებელია უპირობოდ შესრულდეს დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვა, (Azizov, 2021) როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მიმართულებით. ფრიად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, მოქნილი პოლიტიკის განხორციელებით, ინოვაციური პოლიტიკა იმგვარად წარმართოს, რომ უზრუნველყოს ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტებისა და მიმართულების განსაზღვრა.

ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების პროცესში არსებითი ყურადღება როგორც ტექნოლოგიური მიღწევების წინასწარ განჭვრეტას, ასევე ქვეყანაში ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელებას ეთმობა (Valitov & Khakimov, 2015).

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესს ახალი დარგების წარმოქმნა სდევს თან. ამასთან, თავის მხრივ, ტრადიციულ დარგებს შესწევთ უნარი, ასევე მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს და დააჩქაროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესი. ამ ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან მწვანე ეკონომიკის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ნათლად გამოიკვეთოს და განისაზღვროს როგორც ინოვაციური ეკონომიკის თავისებურებები, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების როლი ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში (Cao et al., 2019). ასევე, გამოვლენილ იქნეს ინოვაციური ეკოსისტემის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების - კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, ბიზნეს ინკუბატორების, ასევე ინვესტორების მისია.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ინოვაციური ეკონომიკის პოლიტიკის ფორმირების პროცესში მიზანშეწონილია დეტალურად განისაზღვროს სახელმწიფო ინსტიტუტების საჭიროებები და გამოწვევები. რაც, თავის მხრივ, ინოვაციური იდეების მქონე მეწარმეებს თავიანთი ნოვატორული სტრატეგიის შეთავაზებებით წარმატებული ფუნქციონირების გარანტიას და შესაძლებლობებს შეუქმნის.

საქართველოში არსებითი ყურადღება ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის ფორმირებას ეთმობა. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინოვაციების მდგრადი განვითარების მიღწევას ენიჭება, რომელიც, თავის მხრივ, მხრივ, გარემოს დაბინძურების ხარისხს და ნარჩენებს საგრძნობლად შეამცირებს.

ამრიგად, როგორც წესი, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების ერთობლიობითა და ურთიერთქმედებით ხორციელდება. ამავდროულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინოვაციების მდგრადი განვითარების მიღწევას ენიჭება, რომელიც თავის მხრივ, გარემოს დაბინძურების ხარისხს და ნარჩენებს საგრძნობლად შეამცირებს.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების ერთობლიობითა და ურთიერთქმედებით ხორციელდება. როგორც წესი, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ოპტიმალურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, კერძოდ კი, სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებას ენიჭება (Patanakul & Pinto, 2014). ვინაიდან სწორედ მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სახელდობრ კი, ფისკალური, მონეტარული და სავაჭრო პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების კურსს.

ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პროცესში დიდი ყურადრება განათლების სისტემის განვითარებასა და სრულყოფას ეთმობა. ამიტომაც ცოდნა თავის მხრივ, ინოვაციის მთავარ დეტერმინანტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის ფორმირებისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც, როგორც განათლების ხარისხის დონის პერმანენტულ ამაღლებას, ისე განათლების დაფინანსების მოდელის სრულყოფას და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას საჭიროებს. სექტორული ეკონომიკური პოლიტიკა როგორც საგადასახადო, ისე საკრედიტო და ფინანსური შეღავათების დაწესებას, ასევე სამეცნიერო- ტექნოლოგიური ინოვაციური პოლიტიკის საბიუჯეტო დაფინანსებას ახორციელებს, რომელიც ამავდროულად ინოვაციების დანერგვას, ასევე ქვეყანაში განხორციელებულ როგორც სამეცნიერო, ისე ტექნოლოგიური პოლიტიკას ასტიმულირებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე ტექნოლოგიური, ასევე კვლევისა და განვითარების პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათი განცალკევებულად განხილვა. ვინაიდან ისინი შესაძლოა სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში იყოს მოქცეული.

თავის მხრივ, როგორც წესი, ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში ინოვაციის რეგიონული პოლიტიკა ცალკე გამოიყოფა. იგი რეგიონული ეკონომიკური განვითარებისა და ფისკალური დეცენტრალიზების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები მოწოდებულია ქვეყნებს მსოფლიოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის უნიკალური მოდელი შესთავაზოს.

ამრიგად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მყარად დამკვიდრებისთვის, კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებისთვის აუცილებელია ეკონომიკის მოდერნიზების დაჩქარება, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებას განვითარებულ, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან.

დასკვნა და რეკომენდაციები

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა და ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე გამოწვევები ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების აუცილებლობას წარმოქმნის. აღნიშნული ძალზე აქტუალურს ხდის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გონივრულად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით ევროპული ფასეულობების გაზიარებასა და მასთან თავსებადი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას.

თავის მხრივ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ლიბერალური ეკონომიკური მოდელის შემუშავებას, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, ერთგვაროვან რეჟიმში ფუნქციონირებას და ევროპული ფასეულობების

დამკვიდრებას მოითხოვს, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ათასწლეულის გამოწვევები ევროინტეგრაციის პრობლემატიკის კვლევის მიმართ მეცნიერებისა და მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს.

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანებს შორის ადგილის დამკვიდრება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური რეფორმების განხორციელებასა და იმგვარი ეროვნული მოდელის ფორმირებაზე, რომელიც განათლების სექტორში სოლიდური ინვესტირებით ძირეული რეფორმების განხორციელებაზე, განათლებული, მოტივირებული თაობების აღზრდაზე, მათთვის თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების შეთავაზებაზე, სიღარიბის დაძლევასა და ინოვაციური რეფორმების დაჩქარებაზე იქნება მიმართული .

სწორედ განათლებული, მოტივირებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდობაა იმის გარანტი, რომ საქართველო მოკლე დროში შეძლებს განვითარებული, ინოვაციური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.

ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება კონკრეტულ სფეროსა თუ დარგში ძირეული ინოვაციური რეფორმების გატარებას მოითხოვს, რომელიც დახვეწილ საკანონმდებლო ბაზას და სახელმწიფო ინსტიტუტებს დაეფუძნება

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად, მთავრობის უმთავრესი აქცენტი ქვეყანაში იმ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზეა ორიენტირებული, რომელიც თავისი ბუნებით მაღალტექნოლოგიურია. აღნიშნული ამასთან, ეკონომიკის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და საბოლოოდ, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას განაპირობებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებთან საქართველოს სრულფასოვანი ეკონომიკური ურთიერთობები, კეთილმეზობლური დამოკიდებულება და წევრის სტატუსი გადამწყვეტ როლს ასრულებს სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაში. ამდენად, საქართველოს სტრატეგიული მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირში გაწევრიანებაა, რაც თავის მხრივ, ევროპულ ფასეულობებზე

დაყრდნობით, ქვეყანაში ცვლილებების განხორციელებისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მონაწილეობა „აღმოსავლეთის პარტნიორობაში“ ქვეყანას ჰარმონიზაციის უნიკალურ შესაძლებლობებს სთავაზობს. თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია ფულადი რესურსების მობილიზება, რაც არსებით გამოწვევად რჩება.

ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა. თუმცა, ევროკავშირის ეკონომიკაში თანმიმდევრული ინტეგრაციისათვის, ბარიერად რჩება კონკრეტული წინაპირობების დაკმაყოფილება, რაც, სავაჭრო ბარიერების შემსუბუქების და ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. ზემოაღნიშნული, ქვეყანას მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას მისცემს, აღნიშნული კი, საბოლოოდ, ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ფონზე, კეთილდღეობის დონის ამაღლების და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის გარანტად იქცევა.

ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში მოსახლეობის ჯგუფებს შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, ასევე სტრუქტურული პრობლემები ძირითადად ქვეყნის რეგიონებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან მომდინარეობს, რომლის დასაძლევად როგორც ეროვნული ეკონომიკისთვის ადაპტირებული სტრატეგიის შემუშავება, ასევე უცხოეთის წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ერთობ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

აგრეთვე, ქვეყნის ევროკავშირის ეკონომიკაში თანმიმდევრული ინტეგრაციისათვის, ბარიერად რჩება ეკონომიკის გამოწვევების შეფასებას და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ენიჭება. ასევე, მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა.

ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის მოდელების განზოგადების საფუძველზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს საექსპორტო პროდუქტებისა და მათი გაყიდვის ინტენსიურობის, ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებისა და ბაზრებზე უკეთესი

პირობების მოპოვებაში ახალი საექსპორტო პროდუქტების წარმოების, საქონლისა და მომსახურეობის შეთავაზების მნიშვნელობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის საქმეში.

ამასთან, განსაკუთრებული როლი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ქვეყნის რესურსების რაციონალურ გადანაწილებაში სახელმწიფოს ენიჭება. აღნიშნული, ევროინტეგრაციის პროცესში საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და სრულყოფას ისახავს მიზნად.

გლობალიზაციის ეპოქაში, საერთაშორისო კონკურენტულ ბრძოლაში ჩართულ ქვეყნებს და კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევა თავიანთი უპირატესობების გამოვლენით, გაძლიერებით და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით ადგილი უმსხვილეს ბაზრებზე დაიმკვიდრონ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გამოვლენა და იმ სარგებლის განსაზღვრა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) მთელი რიგი უპირატესობების გამოყენებით, არასატარიფო ბარიერების დაძლევით და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის დივერსიფიცირებით შეიძლება მიიღოს ქვეყანამ.

უაღრესად აქტუალურია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, როგორც საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების გამოვლენა, ისე საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრა ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურისა და დინამიკის გაანალიზების საფუძველზე.

როგორც წესი, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე პროცესები განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის ზრდას. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც. ვინაიდან, ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირთან თანამშრომლობის, DCFTA-ის, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ევროინტეგრაციის მიმართულებით

ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების, ასევე ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრას.

საქართველო-ევროკავშირს შორის შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული შედეგები, ასევე DCFTA-ს, როგორც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობა ევროკავშირთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნის, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციის, ასევე საქართველო-ევროკავშირის საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მიმართულებით ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტებია.

DCFTA მოიცავს ევროკავშირში ეკონომიკის ინტეგრაციის გზას, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის შიდა ბაზარს ხსნის როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციით, ასევე სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებით, საინვესტიციო აქტივობის ამაღლებითა და კაპიტალწარმომქმნელი ინვესტიციების ეფექტიანობის ზრდით. რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქართული ეკონომიკის გადასვლას ახალ ხარისხობრივ მდგომარეობაში.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და დასაქმების დონის ამაღლება, ასევე საექსპორტო პოტენციალის ზრდა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის შემცირება დიდადაა დამოკიდებული ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნაზე, მათი გაყიდვის ინტენსივობაზე, ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოებასა და ექსპორტის პოტენციალის ამაღლებაზე. ზემოაღნიშნული სწორედ, ქვეყანაში არსებული რესურსების გონივრული განაწილებით, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ჩართვით, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებით მიიღწევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალური ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, საკმაოდ აქტუალურია ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების

გაფორმება. ზემოაღნიშნული მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები შეუქცევადად ხდის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

ამდენად, გლობალიზაციის პროცესი შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებსა და კომპანიებს, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან თავი დაიმკვიდრონ ბაზარზე გაძლიერებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით.

DCFTA თავისთავად ხელს უწყობს ექსპორტის დივერსიფიცირებას გეოგრაფიული მასშტაბით და სასაქონლო ნიშნის მიხედვით. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და განვსაზღვროთ სარგებელი, რომელიც ქვეყანამ შეიძლება მიიღოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგად არსებული მრავალი ბენეფიტის გამოყენებით, გადალახოს სატარიფო ბარიერები და მოახდინოს ექსპორტის დივერსიფიცირება ევროკავშირის ბაზარზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საექსპორტო პოტენციალის გაფართოების საკითხი განსაკუთრებით იმ ქართული კომპანიებისთვისაა პრიორიტეტული, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უცხოურ ბაზრებზე ოპერირებენ. ვინაიდან, როგორც წესი, საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია მათ საშუალებას აძლევს ინტეგრირდნენ გლობალური ღირებულების ჯაჭვში და მიაღწიონ ტექნიკურ მოდერნიზაციას, ბაზრის გაფართოებას, პროდუქტიულობის ამაღლებას და მოგების ზრდას.

ქართული საექსპორტო პროდუქცია მხოლოდ მცირე ნომენკლატურის საქონელზეა ორიენტირებული, რაც ზრდის ბოლოდროინდელი ეკონომიკური რყევების განმეორების რისკს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანამ ე.წ. დაჩქარებული ზრდის მისაღწევად, სასაქონლო ნომენკლატურის დივერსიფიცირების გაღრმავებაზე უნდა იზრუნოს, რათა საერთაშორისო ეკონომიკურმა მერყეობებმა ეროვნულ ეკონომიკაზე ნაკლებად იქონიოს გავლენა.

ჩვენი აზრით, საექსპორტო პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის ნაწილია, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მატებით, იმ სარგებელის მიღებას უზრუნველყოფს, რომელიც ეროვნულმა ეკონომიკამ შეუძლია შექმნას.

ამასთან, საექსპორტო პოტენციალი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების, მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზით, საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარანტიაა.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ევროპული ფასეულობების დამკვიდრება, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება საქართველოს ევროპელ პარტნიორებთან ვაჭრობის დივერსიფიცირების და ეკონომიკური რეგულაციების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით საბოლოოდ, მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს და ეკონომიკის მოდერნიზაციას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვის გზით.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირმა თითქმის სრულად გახსნა ბაზარი საქართველოდან იმპორტისთვის და გააუქმა საიმპორტო ტარიფები, რამაც ახალი შესაძლებლობები შესთავაზა ჩვენს ქვეყანას. აღნიშნული თავის მხრივ, ამცირებს რისკებს, ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენციის პრინციპებზე მორგების გათვალისწინებით.

ქართულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ევროპული ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შემოღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოდერნიზაციის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს მნიშვნელოვანი სარგებელი ევროკავშირის სატრანსპორტო ქსელებთან ჩინეთის ახალი აბრეშუმის გზის მიერთებით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ენერგოსექტორმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა - კონკურენტული მარეგულირებელი და სატარიფო სისტემის შექმნის საფუძველზე. აღნიშნული, სოლიდური ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ენერგორესურსების მიწოდების წყაროების დივერსიფიცირებას ისახავდა მიზნად.

ცხადია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებული ფინანსური სისტემის კომპონენტებიდან განვითარების მაღალი დონით საბანკო სექტორი გამოირჩევა. მაშინ, როდესაც სხვა საფინანსო სექტორები შედარებით, ნაკლებად არის განვითარებული და ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ფინანსური ბაზრის, კაპიტალის ბაზრის და საფონდო ბირჟის შემდგომი განვითრებისა და სრულყოფის მიმართულებით.

